საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეულებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 24 დეკემბერი, 2015 წელი.

№242 (7887)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს მაზეობს ნაბიჯებს, სხვანი ვერ ნახავ!..

მე დღეს ვტოვებ თანამდებობას, მაგრამ ვრჩები ჩემი სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცად

გუშინ, ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტი დატოვა. შესაბამისი განცხადება მან მთავრობის კანცელარიაში გააკეთა.

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო,

ყველას მოგესალმებით. მოგეხსენებათ, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება. დღემდე თითოეული ჩემი ნაბიჯი გამომდინარეობდა იმ პასუხისმგებლობიდან, რასაც არჩევანი მაკისრებდა. როდესაც ვიღებდი გადაწყვეტილებას, იქნებოდა ეს ოჯახის შექმნის, კარიერის არჩევისა თუ პოლიტიკაში წასვლის შესახებ, ანუ მაშინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით გავერთიანდით ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად. ჩვენი ბრძოლა 2012 წელს ჩვენი ხალხის გამარჯვებით დაგვირგვინდა. მე ნამდვილად მეამაყება, რომ წილად მხვდა პატივი, ამეღო უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და ერის წინაშე, ჩვენს გუნდთან ერთად გამეგრძელებინა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ დაწყებული საქმე.

ჩემი პრემიერ-მინისტრობის დროს ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა მშვიდობა და სტაბილურობა, კანონიერება და ჰუმანურობა, ჩვენს მოქალაქეებს დავუბრუნეთ ყველაზე მთავარი, თავისუფლება და ღირსება. ასევე ჩვენს მიერ გატარებული მასშტაბური რეფორმებით და უპრეცედენტო სამთავრობო პროგრამებით ჩვენ შევქმენით მყარი საფუძვლები ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის. ჩვენ ასევე მივაღწიეთ ისტორიულ შედეგებს — გავაფორმეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და დავიწყეთ თავისუფალი ვაჭრობა. მივიღეთ თანხმობა ასევე უვიზო მიმოსვლაზე ჩვენი მოქალაქეებისთვის, რითაც უკვე შეუღწევადი გახდა ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია ევროპულ ოჯახში.

დღეს ისე როგორც არასდროს, ადამიანზე ორიენტირებული და პრაგმატული პოლიტიკით ჩვენი ევროპული პერსპექტივით ყალიბდება რეალური საფუძველი ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ერთად მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის. ჩვენ დავიწყეთ მუშაობა ჩვენი ქვეყნისთვის ისტორიული ფუნქციის აღდგენაზე. საქართველო აქტიურად ჩაერთო აბრეშუმის გზის საერთაშორისო პროექტში და ხდება რეალურად დამაკავშირებელი ხიდი აზიასა და ევროპას შორის. მას შემდეგ, რაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გადადგა, მე ვიტყოდი, უპრეცედენტო ნაბიჯი და მისი პოპულარობისა და გავლენის ზენიტში მყოფმა მისივე გადაწყვეტილებით დატოვა თანამდებობა, მან შექმნა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა აკეთოს პოლიტიკოსმა ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე, როგორც დროული მოსვლით, ისე დროული წასვლით თანამდებობიდან.

გულწრფელად გეტყვით, რომ ჩემთვის თანამდებობა, იქნებოდა ეს შინაგან საქმეთა მინისტრობა თუ პრემიერ-მინისტრობა, ზოგადად ხელისუფლებაში ყოფნა, არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. ჩემთვის ეს არის უბრალოდ საშუალება იმისა, რომ ვემსახურო ჩემს ქვეყანას და ჩვენს ძვირფას ხალხს. ეს არის ჩემი პოლიტიკური მრწამსი, ასეთი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრება დაიწყო სწორედ ჩვენმა გუნდმა, ვინაიდან ჩვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა დემოკრატია გვაქვს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა მაგალითს დავუტოვებთ ჩვენს შვილებს, რა მაგალითს მივცემთ ჩვენს მომავალ თაობას. თანამდებობები არის დროებითი ჩემო ძვირფასებო, მარადიული არის უფალი და სამშობლო.

ამიტომ დღეს მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. ახლა, როცა გამყარებულია ჩვენი ქვეყნის განვითარების საშინაო და საგარეო მიმართულებები, მე მინდა, ვუსურვო წარმატება ჩვენს მომავალ პრემიერ-მინისტრს. პირველ რიგში, მე მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, ჩვენს ძვირფას ხალხს, მე მადლობას ვუხდი ჩვენს ერთგულ თანამებრძოლებს თანამშრომლობისთვის და თანადგომისთვის, ყველას, ვინც ჩემთან ერთად ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. მე მინდა ასევე განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს მეუღლეს, ასევე ჩემს შვილებს ნიკოლოზს, ანდრიას და გაბრიელს. სწორედ ნუნუკას თანადგომის გარეშე ნამდვილად ვერ შევძლებდი, შემართებით მეკეთებინა ასეთი ძვირფასი საქმე — ჩემი ხალხის და ქვეყნის სამსახური. ჩემი ოცნება იყო, არის და ყოველთვის იქნება ძლიერი და ერთიანი საქართველო ძლიერი ეკონომიკურად წელში გამართული ხალხით. ამიტომ მე დღეს ვტოვებ ამ თანამდებობას, მაგრამ ვრჩები ჩემი სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცად.

ღმერთი იცოს ჩვენი სამშობლოს და ჩვენი ძლიერი და ამაყი ქართველი ერის მფარველი.

გმადლობთ.

ახალ მინისტრთა კაბინეტს ნდობის მისაღებად 5-21 დღე და 76 დეპუტატის ხმა დასჭირდება

მთავრობის კაბინეტის დამტკიცების პროცედურებს კონსტიტუციის მე-80 მუხლი განსაზღვრავს.

კერძოდ, კონსტიტუციის გათვალისწინებით, მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის ვადაში, პრეზიდენტმა პარლამენტს საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი უნდა წარუდგინოს.

კონსტიტუციის თანახმად, მომდევნო 7 დღეში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა მინისტრთა კაბინეტი უნდა დაასახელოს და ის ნდობის მისაღებად პარლამენტს უნდა წარუდგინოს. ამასთანავე, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა საკანონმდებლო ორგანოს სამთავრობო პროგრამაც უნდა წარუდგინოს.

გარდა ამისა, კონსტიტუციის მიხედვით, მომდევნო 7 დღის განმავლობაში, პარლამენტმა მთავრობის შემადგენლობა უნდა განიხილოს და მას კენჭი უნდა უყაროს.

მთავრობას ნდობის მისაღებად 76 დეპუტატის ხმა დასჭირდება.

6 თვე - 60 ლარი

გამოიწერე 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი 66434

◎ დემონკრატი „დემოკრატები“

„მაუგლის“ პერსონაჟთა სისხლისანი?

— დემოკრატია დიდი ვერაფერი ხვითო რამაა, მაგრამ კაცობრიობას მასზე უკეთესი ჯერ არაფერი მოუგონებიაო, — ეს ფრთიანი ფრაზა საკმაოზე მეტი ხანია „დაფრინავს“.

ჩვენც რა ვქნათ, იმისი არ იყოს, — როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარიაო, — ამ „დიდი ვერაფერი ხვითოს“ კანონებს ვემორჩილებით.

ჰოდა, ვიმკით კიდეც მის „კეთილ ნაყოფს“: **ბევრი ვითომ დემოკრატი მედროვე, სინამდვილეში შუბლზე ძარღვგაწყვეტილი ბრამზადა, ისე იოლად მოგაკერებს ნებისმიერ იარლიყს, თვით კაცის მკვლელისაც კი, ვითომ სანდო წყაროსგან მიწოდებულს, არც შეჭოჭმანდება.**

ანკი რა შეაყოყმანებს და შეაშინებს სინდის-ნამუსისგან დაცლილს? — „ხვითოს“ წყალობით ნებისმიერი პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვისა თუ ნებისმიერი სახის ცილისწამებისთვის (მით უფრო, რომ თანამდებობის პირს კანონით თმენის ვალდებულება აკისრია (?!) იმ ვითომ დემოკრატ არამზადას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ვერავინ დააკისრებს, ადმინისტრაციული სასჯელი კი ვის რად მიაჩნია?

ამდენად მას, არამზადა ცილისმწამებელს, მით უფრო, ჟურნალისტის სახელს ამოფარებულს, შეუძლია, მისთვის არც იმ „ერთიან სარწმუნო წყაროს“, ანუ ინფორმაციის მიმწოდებლის ვინაობა დაასახელოს, და ყინჩადაც განცხადოს — სასამართლომ რომც დამავალდებულოს ჩემი გამამტყუნებელი განაჩენის ჩემსავ გაზეთში გამოქვეყნება, — ამას არ ვიძმ, რადგან სასამართლოც და მისი განაჩენიც, უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს ამჟამინდელი მრჩევლის დავით კიზირიასი (იგი ნაციონალი პარლამენტის გიორგი ვაშაძის გუნდის წევრია — ს.რ.). არ იყოს, სულაც გოკაზე მკიდიაო.

დიახ, სწორედ ასეთი „ჭეშმარიტად დემოკრატი“, მუდამ „სიმართლის მაძიებელი“ და „ბოროტმოქმედთა“ მხოლოდ ამ სიმართლით მამხილებელი, შეუდრეკელი და პრინციპულია (ყველა „ეპითეტს“ ხომ ბრჭყალებში ვერ ჩავსვამ — **რ.რ.**), მანანა კობახიძის მიერ ამორალურად და უზნეოდ მონათლული (ამ შემთხვევაში „ნათლია“ მტყუანია თუ მართალი, მკითხველმა განსაჯოს — **რ.რ.**) გაზეთ „ქრონიკა+-ის“ რედაქტორი **ელისო კილაძე.**

ვახსენე ეს „ჟურნალისტი და, უნებლიეთ, წამომაგონდა სავსებით სამართლიანად „ცრუსთავი-2“-ად მონათლული „დემოკრატიული დამოუკიდებელი“ ტელეკომპანია (ისემც დაუმშვენდეს მის გენდირექტორს ნიკა გვარამიას ცხვირი, ანუ ის ორგანო, რომელიც ისევეა მისი, როგორც „თავი, ფეხი თუ ნებისმიერი სხვა ორგანო“, თავადვე რომ განაცხადა სახალხოდ — **რ.რ.**).

რატომ? იმიტომ, რომ სწორედ მან, ჯერ კიდევ შევარდნაძის ზეობისას (ამას ხაზგასმით იმადღა ვამბობ, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სააკაშვილმა გააუქმებინა ამ ტელეკომპანიას გოგიჩაიშვილის „60 წუთი“ — ამგვარი „ობიექტური“ მამხილებელი აწი რად გვჭირდებაო! — **რ.რ.**), თავისი ასევე ჭეშმარიტად **„დემოკრატი და მიუკერძოებლად სამართლიანი“** თანამშრომლის **აკაკი გოგიჩაიშვილის** ენა-პირით გაუგონარი ცილი დასწამა იმდროინდელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, კულტურის მინისტრს, დახვეწილ ინტელიგენტს, ჭეშმარიტ ინტელექტუალს, ყოველმხრივ მართლაც სანთელივით წმინდა და მართალ კაცს ბატონ ვალერი ასათიანს, როდესაც მას ადამიანის **„რიტუალური მკვლელობა“** — აკუწვა-დანაწევრება დააბრალა (?!).

სასამართლომ გაამტყუნა ცილისმწამებლები და დაავალდებულა ტელეკომპანია და აკაკი გოგიჩაიშვილიც, „რუსთავი-2“-ის ეთერში მოეხადათ ბოდიში ბატონი ვალერისთვის, მაგრამ...

საქმეში ხართ?

არადა, მათ რომ ჰკითხოთ, „ცრუსთავი-2“ იმთავითვე დემოკრატიული და სამართლიანი ტელეკომპანია იყო!

ასე, ტყუპისცალებივით (თუ, უკაცრავად პასუხია და, ერთი მამის „შაქმნილებივით“) ჰგვანან ერთმანეთს ელისო კილაძე, „ცრუსთავი-2“-ის თანამშრომლები და მათნაირი „დემოკრატები“!

და სწორედ აქ გამახსენდა, ასევე უნებლიეთ, „მაუგლი“ და იმისი პერსონაჟები, ერთმანეთს რომ ეუბნებიან, **„ერთი სისხლისანი ვართო“.**

იმ პერსონაჟებს არ ვაკონკრეტებ, რადგან თვით კაცი კი — ეს უზარმაზარი პითონი — ერთობ სიმპათიური არსებაა.

იმისგან განსხვავებით კი ზემოხსენებულ რეალურ არსებათაგან ერთიც არ მეგულება... (რანაირი — დადებითი თუ უარყოფითი, თავად განსაჯეთ, მკითხველო!).

რუსლან რუსია

◎ მედიცინას ადამიანთა შერიგებაც ძალუძს

გაწყვეტილ ურთიერთობათა აღდგენის საშუალება

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ზუგდიდში შეხვედრა მიეძღვნა. ამჯერად, სახალხო დიპლომატიასთან ერთად, ურთიერთობის აღდგენის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მედიცინა განიხილეს. ასოციაცია „მშიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ ინიციატივით, თემაზე სასაუბროდ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ექიმებიც შეიკრიბნენ.

„მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ დირექტორის ალუ გამახარიას განცხადებით, მედიცინა აღმოჩნდა ის საშუალება, რომელმაც ყველაზე ეფექტიანად დააახლოვა წლების განმავლობაში ერთმანეთზე განაწყენებული მხარეები. მისი სიტყვებით, ადრე შეხვედრები ტარდებოდა სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით, სადაც დასასწრებად ოკუპირებული რეგიონიდანაც აქტიურად ჩამოდიოდნენ მოქალაქეები. ალუ გამახარიას სიტყვებით, გარკვეული დადებითი დინამიკა ამ მხრივაც შეიმჩნეოდა, თუმცა პირობით საზღვარზე დაწესებული შეზღუდვების გამო ეკონომიკური ურთიერთობები ისე კარგად ვერ განვითარდა, როგორც სამედიცინო კუთხით. ალუ გამახარიას ცნობით, მარტო მათი ასოციაციის მიერ შეთავაზებული სამედიცინო პროექტებით 500-მდე ეთნიკურად აფხაზმა ისარგებლა:

„ვერც რუსი და ვერც ვერავინ ვერ აჩერებს ამ პროცესს, ურთიერთობის პროცესს. აფხაზები მოდიან და მოდიან. საშვებს თუ არ აძლევენ მათ, და ეს ხშირად ხდება, არალეგალურ გზას ეძებენ, რომ გადმოვიდნენ ქართულ მხარეს და ნახონ ის ექიმები, რომლებიც მათ შველიან“.

კლინიკა „ლაიფის“ ექიმის, დოქტორ ნანა თარბაია-ყავლაშვილის განცხადებით, იმის მიუხედავად, რომ სამედიცინო პერსონალმა პაციენტი არ უნდა გაარჩიოს რაიმე ნიშნით, განსაკუთრებული მზრუნველობა მაინც შეიმჩნევა ეთნიკურად აფხაზი პაციენტების მიმართ:

„ჯერ მოდიან თვითონ, აქედან მიაქვთ მესიჯები და შემდეგ, მათი რეკომენდაციით, მოდიან სხვები, ანუ ჩვენ ამ ყველაფერს ვაკეთებთ გულით. ჯანდაცვამ უნდა გაათბოს გულები“, — განმარტავს ექიმი.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პარალელურად, შეხვედრის მომხსენებლებმა პროფესორმა ელგუჯა კვინიკაძემ, მკვლევარმა დურმიშხან ყიფიანმა და სახალხო მკურნალმა ნოდარ ადეიშვილმა ისაუბრეს ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობაზე, ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ახალ მეთოდებზე.

წყალზე, როგორც სიცოცხლის მთავარ ელექსირზე, საუბრისას მკვლევარმა დურმიშხან ყიფიანმა აღნიშნა, რომ საქართველოს მასშტაბით აფხაზები გამოირჩეოდნენ ხანდაზმულობით, ამას კი მკვლევარი მათ ცხოვრების წესს და წყლის ხარისხს უკავშირებს:

„აფხაზები გარდა იმისა, რომ სუფთა წყალს სვამენ, — მთის ქვეშ გამომდინარე და მყინვარიდან მიღებული წყალი, რა თქმა უნდა, შესანიშნავია, — მაგრამ აფხაზებს ჰქონდათ კიდევ ერთი კარგი თვისება, კვების თავისებური წესი — კვების დრო, საკვების რაოდენობა... ამან წარმოაჩინა ის, რომ აფხაზები დიდხანს ცხოვრობდნენ“, — განაცხადა დურმიშხან ყიფიანმა.

ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე იმყოფებოდნენ აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული ექიმებიც, თუმცა მათ ჟურნალისტებთან საუბარზე უარი განაცხადეს.

თამარ ზანთარაია
რადიო „თავისუფლება“

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● მურუსიძე თუ „აირჩიეს“, ქართველ ხალხს „ღირსების“ ორდენი გვეკუთვნის!!!

● ჭიაბერაშვილი კაფეში გასტყიპეს, წუკლარა — სახლთან, ჩიორა — ბიბლიოთეკასთან, კოდუა — ბარნოვზე, ბეჟაშვილი — აეროპორტში, ვინ გამოიცნობს სად შმუთავენ გოკა გაბაშვილს?

● ძალიან მაგარი სათაური ინტერპრესნიუსზე: „სატრიარქოში წმინდა სინოდის წევრები იკრიბებიან“.

აბა სად უნდა შეიკრიბონ წმინდა სინოდის წევრები, ღამის კლუბ „გალერეაში“? თანაც გუშინ დაანონსებული იყო წმინდა სინოდის შეკრება.

ეს სათაური ქართული „ჟურნალისტიკის“ უდიდესი გამარჯვებაა!

● NDI-მ ქოსატყუილას რო დაარტყას, მოსკოვში გადააფრენს!

● ზოგიერთები თვლიან, რომ NDI ნაციონალურ მოძრაობასთანაა ასოცირებულიო...

მაგას რა დიდი მკითხაობა უნდა, — ასოცირებულიცაა და ორასოცირებულიც...

● თუკი გელა ზედელაშვილის სტატიაში „სირმანჯოების ქვეყანა“ („კვირის ქრონიკა“, №51, 21-27 დეკემბერი, გვ.16-17) მოყვანილ ფაქტებსა და გათვლებს დავუჯერებთ, გამოგვივა, რომ საქართველოს ცესკო (ცენტრალური საარჩევნო კომისია) ესაა უბრალოდ ბანდა — ОПГ (Обьединенная Преступная Группировка).

● და ამათ უნდა ვანდოთ 2016-ის არჩევნები?

● P. S. ასევე საინტერესოა, ქართველმა ერმა უკვე სრულად ამოწურა დეგრადაციის პოტენციალი თუ ფსკერამდე მაინც დარჩენილია კიდევ რაღაც მანძილი?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ დათბობის დასაწყისი?!

საviზო რეჟიმის გამარტივება ვერ შეცვლის სახელმწიფოებრივ ინტერესებს

რუსული ვიზების გაცემის გამარტივებას გამოეხმაურა პრეზიდენტის მრჩეველი. ფიქრია ჩიხრაძე ფიქრობს, რომ ამ გადაწყვეტილებამ ილუზიები არ უნდა შეუქმნას მოქალაქეებს პოზიტიურ ძვრებზე.

მისი თქმით, საქართველოსთვის კვლავაც პრინციპულ და პრობლემურ საკითხებად რჩება ოკუპირებული ტერიტორიები. ის ასევე განმარტავს, რომ საviზო რეჟიმის გამარტივება ვერ შეცვლის სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

„საviზო რეჟიმი შესაძლოა, არის შემარბილებელი, კარგი ზომა, ამ შემთხვევაში ჩვენი მოქალაქეებისათვის, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ინტერესები ამის გამო უკანა პლანზე იყოს გადაწეული,“ — აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზის აღების წესი გაამარტივა.

რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის საviზო პროცედურები გაამარტივა

რუსეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზის აღების წესებს ამარტივებს. ინფორმაცია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. ლავროვის უწყება საქართველოსთვის უviზო რეჟიმის დაწესებასაც არ გამორიცხავს. ზურაბ აბაშიძე რუსეთის ფედერაციის ამ გადაწყვეტილებას სწორ ნაბიჯს უწოდებს, და ევროპასთან ვიზალიბერალიზაციას არ უკავშირებს, რადგან ამბობს, რომ ამაზე საუბარი დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის ფონზე საპარლამენტო უმრავლესობა გადაწყვეტილებას დადებითად აფასებს. მმართველი გუნდის დეპუტატების განცხადებით, ვიზალიბერალიზაციის საკითხი მნიშვნელოვანია როგორც ევროპასთან, ისე რუსეთის ფედერაციასთან. ნაციონალურ მოძრაობაში კი აცხადებენ, რომ ეს რუსეთის მორიგი სატყუარაა.

◎ „მოყვარეს პირში უძრახე“

„თანამედროვე ქართველი ვერ შედგა, ის კრიზისშია

ვიზალიბერალიზაცია **და ევროპისკენ გადადგმული ნაბიჯი, რასაც ასე ელოდა საქართველო, აღმოჩნდა, რომ ჩვენი საზოგადოების ნაწილში შიში გააჩინა — „ხომ არ დაგვაკარგვინებს ევროპა ქართველობას?“, „ხომ არ დაიწყება ჩვენი ახალგაზრდობის მასობრივი გადინება და უფრო მეტად ხომ არ დაცარიელდება საქართველო?“ . ზოგიერთები უფრო შორს მიდიან და დიაგნოზსაც სვამენ — „ქართველი ახალგაზრდები წავლენ ევროპაში და იქიდან ავადმყოფები დაგვიბრუნდებიან“ — მათი აზრით, „ევროპა მიექანება ზნედაცემულობისკენ“. მოკლედ, ვიღაცისთვის ევროპა სამოთხეა, ვიღაცისთვის — ჯოჯოხეთი.**

მართალია, ქართველები თავს ვიწონებთ, რომ პირველი ევროპელები ვართ, მაგრამ მაინც საინტერესოა, რა განსხვავებაა ქართულ და ევროპულ მენტალობას შორის?

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** თვლის, რომ, როდესაც ადამიანი პირველად ჩავა ევროპაში, იქიდან სულ სხვა ემოციებით დაბრუნდება, თუნდაც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეს განსხვავება აშკარაა. ამის მაგალითად პოლიტოლოგს ეზოში მდგარი საკუთარი მანქანა მოჰყავს, რომელიც ყოველ დილით სიგარეტის ნამწვავებით სავსე ხვდება. **„ამ დროს ევროპელს სისხლში აქვს გამჯდარი, რომ სიგარეტის ნამწვავი არათუ ფანჯრიდან არ მოისროლოს, არამედ, თუ მოსაწევი ადგილი არ არის, არც მოსწიოს“.** პოლიტოლოგის აზრით, ევროპაში მისი ყურადღება მიიქციეს ქუჩაში მომღიმარმა ადამიანებმა, სადაც მოხუცებულსაც კი ვერ ნახავდით შეწუხებული სახით. რაც შეეხება არასწორ მენტალიტეტს, თუ შავ ჯიპზე ზიხარ, ე.ი. კაცი ხარ და, თუ ფეხით გადაადგილდები, არაფერს წარმოადგენ, ეს მენტალიტეტი დასანგრევია.

საზოგადოებრივი კომუნიკაციის მართვის სპეციალისტი **არჩილ გამზარდია** აცხადებს, რომ ევროპა მრავალფეროვანია და ეს მრავალფეროვნება სრულიად არ ნიშნავს, რომ მასში შემავალი რომელიმე ერი ამ საერთო ოჯახის ნაწილი არ არის. მით უმეტეს, ჩვენ გვაკავშირებს ქრისტიანული ფასეულობები. ისტორიულად საქართველოს მუდმივად ჰქონდა აქცენტი დასავლური ტიპის ქვეყნების მიმართ, რომლებიც პროგრესისკენ მიისწრაფვოდნენ.

„რენესანსი ადრე აღიქმებოდა მხოლოდ როგორც ევროპული მოვლენა, მაშინ, როდესაც საქართველოში რენესანსის ხანა ოდნავ ადრე დაიწყო. რენესანსი ახასიათებს ევროპას, როგორც ღმერთის გაცნობიერების ფორმა, როდესაც მაცხოვარი არ არის მხოლოდ მოზეიმე, ის არის მგლოვიარეც, ადამიანური თვისებების მქონეც. „საიდუმლო სერობაშიც“ იგივე იდეოლოგიაა გატარებული, ასეთივეა ჩვენი იშხანის ჯვარი, სადაც დიდი მხატვრული ძალითა და დინამიკითაა გადმოცემული ჯვარცმული ქრისტეს ფიგურა. ჩვენი სახელოვნებო, სარწმუნოებრივი, სამწერლობო მიმართულებები აჩვენებს იმას, რომ ევროპასთან ერთი ფუძე გაგვაჩნია. რისკის ფაქტორი ყოველთვის ყველაფერში არსებობს და ზოგიერთებს უჩნდებათ შიში, რომ ევროპა თვითმყოფადობას დაგვაკარგვინებს, მაგრამ კახელი რომ ღომს მოხარშავს ან მთიელი საცივს გააკეთებს, ეს არ ნიშნავს, რომ კახელი გადაჯიშდა. მსგავსი მიდგომით, ილია ჭავჭავაძე ოთხი წელი რუსეთში სწავლობდა, მაგრამ მისი მსგავსი მამულიშვილი კაცობრიობას იშვიათად ჰყოლია. ჩვენ ბერძნებთანაც გვქონდა ურთიერთობა, ირანელებთანაც, ოსმალებთანაც, რომლებსაც ქართველებისგან მიჰქონდათ კულტურა, წეს-ჩვეულება და ჩვენთანაც ტოვებდნენ გარკვეულ ჩვეულებებს, მაგრამ ქართველი ადამიანი განვითარდა სწორედ ამ გახსნილი და არა ჩაკეტილი ურთიერთობის გამო. მაშინ ამას გლობალიზაცია არ ერქვა, თორემ ჩვენი ეთნოსის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით თვით დამპყრობლებსაც კი. ამიტომ დიდ საფრთხედ არ მიმაჩნია, რომ ადამიანები ევროპაში გავლენ“, — აცხადებს არჩილ გამზარდია და მიიჩნევს, რომ თანამედროვე ქართველი კრიზისშია, ის ვერ შედგა, ვერ მიხვდა, რას წარმოადგენს. ეს კრიზისი გამოიწვია მრავალწლიანმა რუსულმა ჰეგემონიამ, რომელმაც, პრაქტიკულად, ქართული ეთნოსი დაანგრია. რუსეთის ორიენტირი იყო, ქართველისგან შეექმნა არასრულყოფილი რუსი და, თუკი რუსეთთან ურთიერთობა გაგრძელდებოდა, ქართველი ხალხი ფიტულის სახით დარჩებოდა ბუნებაში და არა ცოცხალი სახით. ევროპის ფარგლებში კი შეგვიძლია, ჩვენი თავი გადავარჩინოთ. სწორედ ეს განასხვავებს რუსეთსა და ევროპას, ევროპა არ ცდილობს, გახადოს ინგლისელი ფრანგად. ისინი ერთმანეთს იღებენ იმ ეთნოსით, როგორებიც არიან.

ამასთან, ტრაგიკულ ფაქტად მიიჩნევს არჩილ გამზარდია ოსებისა და აფხაზების ეთნოსის ქრობას, რომლებიც, რეალურად, რაღაც გაუგებარი რუსული წარმონაქმნია. პრაქტიკულად, ოსები და აფხაზები თითქმის არ არსებობენ. ამ დროს კი „ქართველი აფხაზი“ ბევრად უფრო ახლოს იყო აფხაზურ ეთნოსთან, ვიდრე ე. წ. რუსი აფხაზი ან ე.წ. „რუსი ოსი“.

მერაბ მამარდაშვილის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი **ნონა ხიდეშელი** აცხადებს, რომ ევროპელობა სულაც არ არის გეოგრაფიული მდებარეობა და არაფერს არ წყვეტს, გეოგრაფიულად ევროპას ვეკუთვნით თუ აზიას. მთავარია ცნობიერება, მენტალურად რამდენად ვართ ევროპელები.

ნონა ხიდეშელის თქმით, ზოგადად, ხანგრძლივი და ყოვლისმომცველი ისტორიის მქონე ერებს პროტესტი უჩნდებათ ევროპელობის მიმართ. არადა, საპროტესტო არაფერია, 21-ე საუკუნეში ევროპელობა ეს არის ადამიანის უფლებები, სამართლიანი გარემო, განათლების, ჯანდაცვის სისტემა. ამ თვალსაზრისით, ევროპა ძალიან წინ არის.

„ყველა ბუდა ვერ იქნება და ვერ დაჯდება ცის ქვეშ, რომ საერთოდ არაფერი აღელვებდეს. ვერ ვხვდები, გლობალურ სამყაროში როგორ უნდა დაკარგოს საკუთარი თავი ადამიანმა?! საკუთარ თავს სწორედ ჩამოუყალიბებელი ადამიანები კარგავენ. ქართველებმა ისიც კი არ ვიცით, ჩვენი რა არის, გარდა იმისა, საუკუნეების წინ რაღაცებს რომ ვქმნიდით. ბოლო 25 წელია, კომუნიზმიდან გამოვედით, ცალკე ქვეყნად ჩამოვყალიბდით და მაინტერესებს, რა არის ქართველი ერის ღირსება, რა მიღწევა გვაქვს ხელოვნებაში, სპორტში, მეცნიერებაში?! ჯერ ამაზე მიპასუხონ და მერე ვიტყვი, შესაძლებელია თუ არა ამ ყველაფრის დაკარგვა. ჩვენ საერთოდ ვერ გავიგეთ ვინ ვართ, რას წარმოვადგენთ, ისევ შოთა რუსთაველი, ვაჟა ფშაველა... დღეს რას ვაკეთებთ, რას ვქმნით? თორემ რუსთაველი და ვაჟა ფშაველა როგორ უნდა დაიკარგოს? სად გაქრა ქართული კინო, ქართული მუსიკა? ევროპამ შეგვიშალა ხელი, ეს ყველაფერი რომ აღარ არის? 25 წელია, საძართველოში ბაუძსაობმ, კორუფციამ, ნეპოტიზმმ, მარტო ფრაზები სიყვარულზე. სინამდვილეში — სიძულვილი და ერთმანეთის მიუღებლობა. რაც შეეხება ზოგიერთების შიშს, რომ ევროპაში გარყვნილებაა, რა არის გარყვნილება? შესაძლებელია, გარყვნილება იყოს დასავლური ან აღმოსავლური მოვლენა? გარყვნილება ხომ ადამიანური მანკიერებებია. ფსიქოლოგიის თანახმად, გარყვნილება არის ადამიანური არასრულფასოვნების ნაწილი და არა — ევროპული ან აზიური მოვლენა. ჩვენი უზენაესი უფლება არის საკუთარი და სხვისი უფლების დაცვა და სხვისი ცხოვრების პატივისცემა. თავისუფლება ღმერთმა ადამიანებს აჩუქა. ვინ როგორ იყენებს ამ თავისუფლებას, იმაზეა ბევრად დამოკიდებული, თუ როგორ ვზრდით თაობებს, როგორია ჩვენი განათლების სისტემა, ჩვენი ავტორიტეტები“, — აღნიშნა ნონა ხიდეშელმა.

მანანა ნოზაძე

◎ გონივრული გზავნილები

მთავრობას ანკესი ესროლა!

საძართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში პოზიტიური ემოციები გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ერთხელ განახლდა სანდრო გირგვლიანის სადისტურ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ტკივილები, უმეტესობამ მარგველაშვილის გადაწყვეტილებაში გონივრული და მიზანმიმართული გზავნილები დაინახა.

ეს გზავნილი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს ეკუთვნის, ვინც დღესაც ცდილობს სანდრო გირგვლიანის საქმის მოსამართლის — ლევან მურუსიძის მუდმივ მოსამართლედ გამწესებას.

პრეზიდენტმა „ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისთვის, გამორჩეული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის“ ირინა ენუქიძე (გარდაცვალების შემდეგ) თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ირინა ვერაფერს გახდა სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის, ე.წ. „სიკვდილის მანქანის“ წინააღმდეგ, მან თავისი მოწამეობრივი აღსრულებით საკუთარ ერს მაგალითი უჩვენა, რომ უსამართლობას არ უნდა შეეგუოთ, თუნდაც ამისთვის საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვაც გახდეს საჭირო!

დიახ, გირგვლიანის არაადამიანური წამების ფაქტმა ერს საბოლოოდ აუხილა თვალი და რეჟიმის ნამდვილი სახეც დაანახვა. მიუხედავად იმისა, რომ რეჟიმი სახელისუფლო ვერტიკალის ძალისხმევით მძვინვარებდა, მას ჰყავდა კონკრეტული შემსრულებლები, რომელთა შორის ლევან მურუსიძეს ერთ-ერთი „საპატიო“ ადგილი ეკავა.

სწორედ ამით არის პრეზიდენტის განკარგულება ანგარიშგასაწევი — მან მთავრობას კიდევ ერთხელ შეახსენა, თუ რა ჯოჯოხეთი გამოიარა საქართველომ და რატომ არ უნდა იყვნენ ამ ჯოჯოხეთის მომწყობნი და შემსრულებელნი დღესაც პატივში.

თუმცა, მახვილი მარტო მურუსიძეზე არ უნდა იყოს მიმართული. მის გვერდით იყვნენ სხვა მოსამართლეებიც, რომლებიც აუკანკალებლად აწერდნენ ხელს ნებისმიერ უსამართლო გადაწყვეტილებას, ოღონდ საკუთარი სკამი შენარჩუნებინათ.

მარგველაშვილმა მთავრობას ანკესი ესროლა. ვნახოთ, ვინ როგორ მიიღებს ამ გამოწვევას და ამის შემდეგ კიდევ ეყოლება თუ არა ლევან მურუსიძეს და მის „თანამებრძოლებს“ დღევანდელ მთავრობაში მხარდამჭერი.

ანდრია ლისაშვილი

◎ ფეისბუქიდან

„ელისაშვილო, თქვენ პრეზიდენტის შეცდომა და ცრუპენტელა პოპულისტი ხართ!“

პარლამენტის ვიცე-სპიკერი **მანანა კობახიძე** სოციალური ქსელით მიმართავს ალეკო ელისაშვილს და მას წინა ხელისუფლების დავალებების შემსრულებლად აცხადებს.

„ჩემი პასუხი ელისაშვილს: თქვენ ხართ ჩვეულებრივი ცრუპენტელა! თითქოს, მე და ეკა ბესელია სხვა პატიმრების ბედით არ ვინტერესდებოდით. მხოლოდ მე, 100-ზე მეტი მომართვა მაქვს სხვადასხვა მსჯავრდებულის საქმეზე გამოგზავნილი და ადამიანის უფლებათა კომიტეტს ალბათ ასეულობით. ბოჭორიშვილის საქმეზე ერთხელ პრეზიდენტს მივმართე, რაზეც პასუხი დღემდე არ მაქვს და ერთხელ რეკომენდაცია გავეცით ადვოკატის მომართვის საფუძველზე, თუ „გაწუხებდით“, თუ „ვაქტიურობდი“, ესეც პატიმრების აქტიური მომართვების და არაერთგზისი საჩივრების გამო. როგორ ფიქრობთ, მე როგორი დეპუტატი ან ადამიანი ვიქნებოდი, ისინი რომ თაროზე შემომეწყო?! თქვენ რატომ დაყვებოდით თქვენს ამომრჩევლებს პროკურატურაში?! რატომ გხვდებოდნენ მინისტრები, მოადგილეები, სხვა დეპუტატები?! ზეგავლენით ვაჭრობდნენ ან თქვენ იღებდით სარგებელს?!, რამ შეგაშინათ? ჩემმა თხოვნამ რომ საქმე შეგესწავლათ?! და თქვენ იყავით მთავარი „შემწყალებელი“?! თქვენ პრეზიდენტის სამწუხარო შეცდომა ხართ, ბატონო ალეკო! ჩვეულებრივი ცრუპენტელა პოპულისტი! თქვენ გუშინ იცრუეთ, მსგავსი ტონალობის თუ შინაარსის გზავნილი მე არასოდეს არც თქვენთვის და არც ვინმე სხვისთვის გამიგზავნია, თქვენ პასუხს აგებთ ამ ტყუილისთვის! იქნებ სხვამ მოგწერათ ჩემი სახელის ხსენებით ან გამოყენებით?! გახსენება მოგიწევთ ამის! თქვენ ან დაეხმარებით გამოძიებას და ბოლომდე იტყვით სიმართლეს, ან პასუხს აგებთ, ნუ ეფარებით ჟურნალისტის პროფესიას უსინდისოდ და დაასახელეთ ადამიანი, ვინც თურმე დღესაც თანამდებობის პირია და დანაშაულს ფარავს. თურმე იცის, რომ დეპუტატები კორუფციაში ვიხრჩობით და ამის მხილებას თქვენ განდობთ, ნუ აფარებთ ხელს! მე გეტყვით, რომ თუ ასეთი „ძვირფასი“ მოწმე, მართლაც არსებობს, ის ჩვეულებრივი ჭორების გამავრცელებელია, ბინძური ჭორების, ყოფილი ხელისუფლების და მათი ნარჩენების დავალებების პირდაპირი შემსრულებელი ან თავად ნარჩენი, რაც არაერთი გვყავს, განსაკუთრებით ძალოვნებში, ჩვენდა საუბედურად! ხოდა, ისე გაქციეს „პარტიული დავალების“ შემსრულებლად, ვერც კი ხვდებით. ამის მტკიცებულებაც მაქვს! ჯერ პროკურატურას დაველოდები!“ — წერს კობახიძე საკუთარი ფეისბუქის გვერდზე.

საერთო შეთქმა – მთელი კავკასია

მოტივები სხვადასხვა იქნებოდა, მაგრამ... იოსებ სტალინი და გალაკტიონ ტაბიძე არსებითად ერთნაირად კი შეაფასებდნენ 1832 წლის აჯანყების მცდელობას.

წითელი იმპერატორისათვის ეს იყო **„ზოგიერთი შეთქმულება“,** რომელმაც „ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია“ ქართველი ხალხის ცხოვრებას.

პოეტური აზრის წინამძღოლისათვის კი ის არაფრით განსხვავდებოდა **„ფერმკრთალი შეთქმულებისაგან“.**

იქოლებოდა ეს ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენა, იჩქმალებოდა, სხვაფერდებოდა თუ სულაც ყალბდებოდა და გალაკტიონს ვეღარ მოეხერხებინა მისი სრულფასოვანი შეფასება, მითუმეტეს, რომ პოეზიის ძალასთან აპირისპირებდა, იმ უჩვეულო მადლთან, რომელსაც შეეძლო გაცილებით უფრო შეეძრწუნებინა დამპყრობელი, ვიდრე პოლიტიკურ გაბრძოლებებს. და ყისტის წასაკრავად სწორედ 1832 წლის გაელვებას შეარჩევდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია რასაც დაბეჯითებით ირწმუნებოდა, ამ ზეგავლენას ვერ გაექცეოდა გალაკტიონიც.

გიორგი გოზალიშვილის სამტომეული **„1832 წლის შეთქმულება“,** საგამოძიებო მასალების პუბლიკაცია, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოვლენა აღმოჩნდებოდა, თუმც მისი სახელწოდება უნებლიეთ კი განამტკიცებდა იმ შეხედულებას, სტალინს რომ დაებეჭდა საკუთარი ბეჭდით, სინამდვილეში კი სიტყვასიტყვით იმეორებდა 1904 წელს იმ შეფასებებს, კავკასიის მთავარმართებელი და საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე რომ გამოთქვამდნენ ამ ფარული ორგანიზაციის გაცემისთანავე.

— ქართველთა შორის აღმოჩენილი შეთქმულება, — ეს ბარონი გრიგოლ როზენია.

— რამდენიმე ქართველი თავადისა და აზნაურის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება, — ეს კი გენერალ-მაიორი ჩევკინი.

რუსეთის იმპერატორი შეცვლიდა თავდაპირველ გადაწყვეტილებას — წინააღმდეგობის მოძრაობის მოთავენი სიკვდილით დაესაჯა, ოღონდ შეცვლიდა არა რაიმე ჰუმანური მოსაზრებით, არამედ პოლიტიკური ტაქტიკურობით — არაფრისდიდებით არა სურდა ევროპაში გახმაურებულიყო, რომ საქართველოში მზადდებოდა ეროვნული აჯანყება რუსული მმართველობის დამხობა-განდევნის განზრახვით; და შეეცდებოდა ვითარება ისე წარმოესახა, თითქოს ეს ყოფილიყოს ყოვლად უმნიშვნელო მოვლენა, რამდენიმე თავადისა და აზნაურის ყმაწვილური პამპლაუქობა, ქარაფშუტული განაზრახი.

და ეს ის ჩანაფიქრი, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის სიტყვების გათვალისწინებით ისეთ მასშტაბურ პოლიტიკურ მოვლენად წარმოგვიდგება, მარტოდენ საქართველოს საზღვრებში რომ არც უნდა მოქცეულიყო და მთელი კავკასია მოეცვა:

— საერთო შეთქმას შეუდგნენ ქართველები, 1830 წელსა. ეს შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ სრულიად მთებისა და ბარის ხალხი უნდა გავერთებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა... სრულიად საქართველოს დიდი კაცნი და მცირედნი და ბევრი სასულიერო წოდებისანი, რომლებთაც ხნიანი დედაკაცნი და ყმაწვილ ქალთა ერთი აზრი ქონდათ ყველას ჩვენთან: ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან ან არადა მამული გამოგვეხსნა, საშინელის ჩვენის მტრის რუსეთისაგან...

მთელი კავკასია შავი ზღვიდგან კასპიის ზღვამდინო...

სრულიად მთებისა და ბარის ხალხიო...

მაგრამ თუკი დაისაჭიროებ შენი პოლიტიკური მიზნებისათვის, შეიძლება ეს ყოველივე „რამდენიმე თავადისა და აზნაურის“ ფარგალს არც გადააცილო.

და „შეუმჩნევლადაც“ მონათლო, „ფერმკრთალადაც“, და არც სხვა დამაკნინებელი ეპითეტები დაიშურო.

დღესდღეობით ეს და ამგვარი განსაზღვრებანი სრულიად გადაფასებულია და ის პოლიტიკური მოვლენა აღიარებულია თვალსაჩინო ნიშანსვეტად ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, მაგრამ პირობითად კვლავაც 1832 წლის შეთქმულებად ვიხსენიებდით; და აი დიმიტრი შველიძეს უნდა მოეთხოვა უფრო ზუსტი და ნიშანდობლივი განსაზღვრება და თავისი წიგნაკი შესაფერისადაც დაესათაურებინა: **„1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან“ („უნივერსალი“, 2014).**

წიგნაკში დაწურულად, ერთგვარი თეზისურობითაა ჩამოყალიბებული ის არგუმენტაცია, რაც გავალებს სწორედ ასე, ამ თვალთახედვით გავიაზროთ ეს პოლიტიკური მოვლენა, რომლის ერთიანი პანორამის წარმოჩენასა და მასშტაბურ შეფასებაშიც თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის თამაზ ჯოლოგუას; და შემთხვევითი არ არის, რომ ამ შეხედულების მომხრეთაგან სწორედ იგია ნაშრომში საგანგებოდ დამოწმებული, თავისებურ განზოგადებად იმ ადამიანებისა, რომელთა მონოგრაფიებმაც და ნარკვევებმაც საფუძველი მოუმზადეს წიგნაკის ავტორის მართებულ და ლაკონიურ განსჯას.

დიმიტრი შველიძეც დაბეჯითებით მოიხსენიებს ამ მოძრაობის დასაწყისად 1825 წელს.

აბა მაშ ალექსანდრე ორბელიანი რატომღა გვამცნობს: 1830-ს?

საქმე ისაა, რომ იგი გულისხმობს ამ წამოწყების ახალ ეტაპს — მის განახლებასა და გამძაფრებას ერთგვარი შენელების შემდგომ, თუმც ისტორიული გადასახედიდან ის სწორედაც 7-8 წელს მოიცავს და არა 2-3-ს.



მოგვიანებით კონსტანტინე მამაცაშვილი ამ მოვლენას რომ მოიხსენიებდა **„პირველ მოძრაობად საქართველოში ახალგაზრდობისა“,** ამ სიტყვების მოხმობასთან ერთად წიგნაკის ავტორი მოიშველიებს ილია ჭავჭავაძის სტრიქონებსაც, ვახტანგ ორბელიანისადმი მიძღვნილი ნეკროლოგიდან.

— ...მოძრაობამ კიდევ შეჰკრა ის ბრწყინვალე წრე გონებაგახსნილ ყმაწვილკაცობისა, საიდამაც გამოვიდნენ გრ. ორბელიანი და დ. ყიფიანი, ორნი გიორგი ერისთავნი, ზაქარია ერისთავი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, თ.ნ. ბარათაშვილი, ალ. და დიმ. ორბელიანები, ძმები ჩვენის პოეტისა და ბევრნი სხვანი, რომელთაც სახელოვნად იჩინეს თავი, ზოგმა ლიტერატურაში, ზოგმა საზოგადო და სახელმწიფო სარბიელზე. ამ წრის წმიდათაწმიდა იყო სამშობლოს სიყვარული, რომელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფიალებამდე გაიწია მათდა სასახელოდ.

და ამოსავალ წერტილად რომ აქცევს ფორმულას „პირველი მოძრაობა“, ამ სტრიქონებს მოადევნებს შეპირისპირებას ამ ორ ტერმინს — „შეთქმულებასა“ და „მოძრაობას“ — შორის.

შეთქმულება ხომ ერთჯერად პოლიტიკურ აქტს ნიშნავს, რომელიც სასახლის გადატრიალების სინონიმური ქმედებაა.

ხოლო მოძრაობა — ფართო მასშტაბის იდეურ-პოლიტიკური მოქმედებაა, რომლის მიზანიც — აგერ თუნდ ოცდაათიანელთა შემთხვევაში — სასახლის გადატრიალება კი არა, საყოველთაო, სრულიად საქართველოს (კავკასიისაც!) აჯანყება გახლდათ, რომლის მეოხებითაც რუსის ჯარი უნდა განედევნათ და ქვეყნის დამოუკიდებლობა აღედგინათ.

ნიშანდობლივია, რომ სოფლებში მიზნად ჰქონდათ, რუსის ჯარი ნაწილობრივ ამოეჟლიტათ, ნაწილობრივ კი საქართველოდან გაეძევებინათ.

რამდენიმე თავადისა და აზნაურის შეთქმულებაო...

წიგნაკის ავტორიც დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ეს არ ყოფილა საზოგადოებისაგან მოწყვეტილი, იზოლირებული წარმონაქმნი, არამედ — სხვადასხვა მეორადი უჯრედის, წრისა თუ საზოგადოების ქსელი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მთავარი ორგანიზაცია. ხოლო ადგილობრივი ორგანიზაციები არსებობდა კახეთშიც, ქართლშიც, ქიზიყშიც, ფშავ-ხევსურეთშიც... მათი ხელმძღვანელები ერთმანეთს არც იცნობდნენ და უშუალოდ ცენტრთან, მთავარ ბირთვთან იყვნენ დაკავშირებულნი.

ამიტომაცაა, რომ იასე ფალავანდიშვილმაც კი — რომელიც, სამწუხაროდ და სავალალოდ, ხელმძღვანელთა მთავარი ბირთვის წევრი გახლდათ სოლომონ დოდაშვილთან, ალექსანდრე ორბელიანსა და ელიზბარ ერისთავთან ერთად — 150 კაცზე მეტი ვერ გასცა, რაკიღა თვით მანაც არ უწყოდა მოძრაობის ყველა მონაწილის ვინაობა, სამას კაცამდეც რომ აღწევდა ძირითადი დასაყრდენი ფართოდ გაშლილი ქსელისა.

კონსპირაციული მახვილგონიერებითა და ხერხებით ჩვენი მოძრაობის მონაწილენი მართლაც მოგვაგონებენ იტალიელ და ფრანგ კარბონარებსა თუ რუს დეკაბრისტებს, მაგრამ დეკაბრისტებთან პარალელის გავლება მაინც არაა აუცილებელი, რაკიღა საბჭოთა ისტორიოგრაფია ცდილობდა, რომ 1832 წლის შეთქმულნი როგორმე მიეკერებინა დეკაბრისტებისათვის, როგორც ვითომდა მათი სულისკვეთების გამგრძელებელნი.

არადა ქართველი მეამბოხენი სრულიად საპირისპირო მიზანს ისახავდნენ, ამგვარი ხელოვნური დაკავშირებით კი ყალბდება მათი წამოწყების შინაარსი, მართლაც კნინდება და საცოდავდება.

თორემ აჰა და დარწმუნდით:

ქართველთა მიზანი — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

დეკაბრისტთა სწრაფვა — კავკასიის ხალხთა და მათ შორის ქართველთა აყრა-გადასახლება რუსეთის შიდა გუბერნიებში.

ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია ორგანიზაციის სტრუქტურული აღნაგობით ეს ორი მოვლენა ერთმანეთს ჰგავდეს, მაგრამ სავსებით კმარა კარბონარებთან შედარება.

სამშობლოს სიყვარულისა და განათლების გასავრცელებლად ჟურნალის გამოცემასაც რომ მოინდომებდნენ, კიდეც შეისხამდა ხორცს ელიზბარ ერისთავისა და ალექსანდრე ორბელიანის ეს ინიციატივა სოლომონ დოდაშვილის ხელით: **„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“,** — ილია ჭავჭავაძე თავისი „საქართველოს მოამბისა“ და „ივერიის“ დიდ წინამორბედად რომ აღიარებდა.

სოლომონ დოდაშვილის მიერვე შედგენილი პროკლამაცია წიგნაკში მოხსენიებულია ქართული ნაციონალიზმის ერთერთ ადრეულ — და არა ერთადერთ და არც პირველ — კონსპექტურ ქარტიად, რომელშიც დაწურულად ჩამოყალიბდებოდა ის სულიერი ღირებულებანი, რომელთა დასაბუთებას, შევსებასა და კონცეპტუალიზაციასაც 30 წლის შემდგომ მიზანსწრაფულად წამოიწყებდნენ სამოციანელები: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, კანონმდებლობა, სარწმუნოება-ავტოკეფალია, ენა, ტრადიციები, მეფობა.

აქ დავაზუსტოთ, რომ სახელმწიფოებრივი მოწყობა ამ მოძრაობის მონაწილეებს ესახებოდათ კონსტიტუციურ — და არა აბსოლუტურ — მონარქიად, ის კი არა, მინისტრთა კაბინეტიც და პრემიერ-მინისტრიც უკვე ჰყავდათ ნაგულისხმევი: ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ორგანიზაციას საგანგებოდ შემუშავებული წესდებაც რომ ექნებოდა, ესეც რა გასაკვირია: ფილადელფოს კიკნაძის მიერ ჩამოყალიბებული „აქტი გონიური“.

წიგნაკში კიდევ არაერთი საგულისხმო დეტალია წარმოჩენილი იმ ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად, რომ საბოლოოდ გაბათილდეს რუსეთის იმპერიის მაღალჩინოსანთა მიერ 1832 წლის მოვლენების კვალიფიკაცია „შეთქმულებად“ და მას ეწოდოს 1832 წლის შეთქმულებრივი პატრიოტული მოძრაობა ან მსგავსი ვარიაციები და ასეც დასათაურდეს წიგნებიც, ნაშრომებიც, სახელმძღვანელოთა და მონოგრაფიათა შესაბამისი თავებიც, თუმც ყველა ამ რეალიის განმეორება ამჯერად ზედმეტია, ისევე როგორც საგანგებო მსჯელობა წიგნაკისათვის დართულ ნაშრომზე: „ევროპა 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის გეგმებში“.

მთავარია, რომ რამდენიმე არსებითი შტრიხის მოხმობითაც სავსებით ცხადია და გასაზიარებელი დიმიტრი შველიძის შემოთავაზება.

და თუ სიმოკლისათვის ვინმე კვლავაც ამჯობინებს „შეთქმულების“ ხსენებას, მკითხველს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამ სიტყვის მიღმა იგულისხმება პატრიოტული მოძრაობა საქართველოსა და სულაც მთელი კავკასიის გამოსახსნელად რუსთა მფლობელობისაგან, და არა რაღაც ფერმკრთალი თუ უკვალოდ გამქრალი მოვლენა, რამდენიმე თავადისა და აზნაურის ჩანასახშივე განწირული სწრაფვა...

სასაცილოა და სასაცილოზეც მეტი, საქვეყნო გულისთქმის ასე შემოზღუდვა: თავადაზნაურთა წრეს არ გაცილებიაო, — არადა გლეხობაც რომ არანაკლები მონდომებით ჩაბმულიყო ამ მოძრაობაში, მეთაურთა ოთხეულიდან კი ორი სულაც გლეხური წარმოშობისა იყო: სოლომონ დოდაშვილიც და იასე ფალავანდიშვილი, იუდად სახელდებული ჩვენი ისტორიის გადმოსახედიდან, რუსეთში კინაღამ წმინდანადაც რომ შერაცხავდნენ.

თუმც ისტორიის პარადოქსებს ამჯერად ნუღა გამოვედევნებით...

როსტომ ჩხეიძე

◎ წარდგინება

„ბაში-აჩუკის“ თურქული თარგმანის პრეზენტაცია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ქართული ლიტერატურის სპეციალისტის გულ მუქერრემ ოზთურქისა და თურქოლოგების მერი წიკლაურისა და ასმათ ჯაფარიძის მიერ თურქულ ენაზე თარგმნილი აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიება ეროვნული ბიბლიოთეკისა და იუნუს ემრეს სახელობის თბილისის თურქული კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

თურქოლოგები მერი წიკლაური და ასმათ ჯაფარიძე წლებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრაზე მუშაობენ და არაერთი თაობა აღზარდეს. გულ მუქერრემ ოზთურქი კი თურქეთის მოქალაქეა, რომელმაც ქართული ლიტერატურის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები კავკასიის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარა. 2015 წელს კი დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამა.

უახლოეს მომავალში მთარგმნელები იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნას?“ თურქული თარგმანის გამოცემას გეგმავენ.

ХО-ЕОВ-ЕНО

◎ საქართველო-რუსეთი-აფხაზეთი

15 წელზე მეტი ხნის წინთ, 2001 წლის დეკემბერში გაეროს იმჟამინდელმა სპეცწარმომადგენელმა, გერმანელმა დიტერ ბოდენმა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკუთარი ხედვა წარმოადგინა. ამ კონცეფციის თანახმად, აფხაზეთს შეეძლო, შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში, როგორც სუვერენული ერთეული, გაფართოებული უფლებამოსილებებით. ეს დოკუმენტი, რომელსაც „ბოდენის გეგმა“ უწოდეს, მაშინ მიუღებელი აღმოჩნდა როგორც თბილისისთვის, ისე სოხუმისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დიტერ ბოდენი აღარ არის საქართველოში მოქმედი დიპლომატი, მთელი ამ წლების განმავლობაში იგი მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებდა თბილისთანაც და სოხუმთანაც. ამ დღეებში იგი რადიო „თავისუფლების“ თბილისის ოფისს ეწვია. „აძცენტი“ მასთან ინტერვიუს თარგმანს გთავაზობთ:

დიტერ ბოდენი: აფხაზები იზოლირებულად გრძნობენ თავს და რუსეთის ალტერნატივას ეძებენ...



— თქვენი სახელი საქართველოში ბევრისთვის სწორედ ე.წ. ბოდენის გეგმასთან ასოცირდება, რომელიც თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის ძირითად პრინციპებს გვთავაზობს. დავიწყოთ ამით. თავის დროზე ეს დოკუმენტი მიუღებელი აღმოჩნდა როგორც თბილისისთვის, ისე სოხუმისთვის. ამ გეგმით თქვენ მოსკოვშიც ბრძანდებოდით. რატომ მოხდა ასე?

— უპირველესად, ბედნიერი ვარ, რომ კვლავ საქართველოში ვიმყოფები. შემდგომი ჩამოსვლის დროს ვეცდები, უკვე ქართულად გესაუბროთ. რაც შეეხება თქვენს კითხვას, დიახ, ეს დოკუმენტი 15 წლის წინათ, 2001 წელს მომზადდა.ნუ დავივიწყებთ, რომ გავიდა დრო და ისტორია განვითარდა, იყო რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, რომელმაც გარკვეულწილად, კონფლიქტის საფუძვლები შეცვალა. ომის შემდგომ რუსეთმა და კიდევ ორმა-სამმა სახელმწიფომ აღიარეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. მანამდე რუსეთი შუამავალი იყო, ახლა მხარეა. ეს დოკუმენტი კი შექმნილია იმ დროს, როდესაც აფხაზეთს დამოუკიდებლობა ცალმხრივად ჰქონდა აღიარებული.ყოფილმა შუამავალმა — რუსეთმა, რომლის გარეშეც კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია, ღიად დაუჭირა მხარი აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ეს გასათვალისწინებელია, როდესაც 2001 წლის დოკუმენტზე ვსაუბრობთ. ახლა, რუსეთს რომც უნდოდეს ამაზე წასვლა, ვერ შეძლებს, რადგან აფხაზეთის დამოუკიდებლობა აქვს აღიარებული. ეს არის ძირითადი ცვლილება.

— ხომ არ თვლით, რომ რუსეთის მიერ ამ დოკუმენტის მხარდაჭერა მაშინ თავისებური პოზა იყო სოხუმისა და თბილისის კატეგორიული უარის ფონზე, განეხილათ ეს კონცეფცია?

— ასე არ ვიტყოდი, რადგან რუსეთმა მაშინ ძალიან მკაფიოდ დაუჭირა მხარი ამ დოკუმენტს. მე პირადად ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს კონფლიქტის მხარეებთან და შუამავლებთან, მათ შორის — გაეროში რუსეთის ყოფილ წარმომადგენელთან, ამჟამად კი საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან. ის და სხვები მოსკოვში დათანხმდნენ ამ დოკუმენტს. ამის შემდეგ იყო უშიშროების საბჭოს სხდომა ნიუ-იორკში და არც იქ შეგვხვდა წინააღმდეგობები. ეს დოკუმენტი აღქმული იყო, როგორც საფუძველი კონფლიქტის მხარეებს შორის მოლაპარაკებებისთვის. ვფიქრობ, რუსეთს სერიოზული პოზიცია ჰქონდა და ინტერესიც, კონფლიქტი გადაჭრილიყო, — ბუნებრივია, საკუთარი პირობებით, თუმცა მთლიანობაში, ის თანახმა იყო.

— თქვენ წერთ კონფლიქტებზე საქართველოს ტერიტორიაზე და აღნიშნავთ, რომ საქართველოს რეგიონების მიმართ რუსეთის პოზიცია, მათ შორის მათთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები — ეს არის პასუხი დასავლეთთან საქართველოს ინტეგრაციაზე. რამ შეიძლება, შეცვალოს მსგავსი მიდგომა? თქვენ ხომ წერთ, რომ სამშვიდობო პროცესის განახლება დღესაც შესაძლებელია...

— ვფიქრობ, სხვა გამოსავალი არ გვაქვს, გარდა განახლებისა. ეს არა მხოლოდ კავკასიის რეგიონის პრობლემაა, ეს რუსეთის, ევროპის პრობლემაცაა. კონფლიქტი რომ ამ სახით დავტოვოთ, ის ნებისმიერ მომენტში აფეთქდება, — ისევე მარტივად, როგორც ეს 2008 წელს მოხდა. ამ ომის შემდეგ საქართველო ძალიან ღიად დაადგა პირდაპირ დასავლეთისკენ მიმავალ გზას. ვფიქრობ, ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არჩევანია და არც ერთი სახელმწიფო ამის გამო არ უნდა ისჯებოდეს. ეს რეალობა მიღებული უნდა იყოს და ეს ნიშნავს, რომ საქართველომ, ბუნებრივია, ეს მეზობლების უსაფრთხოების ინტერესების დაცვით უნდა გააკეთოს. ასე, რომ, ვფიქრობ, სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი უნდა განახლდეს. ბუნებრივია, აგვისტოს ომის ისტორიის გათვალისწინებით. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები უნდა წარმოებდეს რუსეთთანაც. არსებობს ჟენევის დისკუსიები, ორმხრივი მოლაპარაკებები საქართველოსა და რუსეთს შორის. ელჩი ზურაბ აბაშიძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ხვდებიან ერთმანეთს, თუმცა, ეს მოლაპარაკებები დღემდე წინ ვერ დაიძრა. მხედველობაში მაქვს ის, რომ პრობლემას წარმოადგენს რეალური წინსვლა კონფლიქტის მოგვარების გზების ძიების კუთხით. ეს ამჟამად პრობლემაა.

— ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა მოხდეს ეს ყველაფერი დღეს, როდესაც რუსეთი 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებასაც კი არ ასრულებს. მე გადავხედე არა მარტო ამ დოკუმენტს, არამედ თქვენს სტატიებსაც. ერთ-ერთ მათგანში თქვენ მსჯელობთ იმაზე, რატომ არ მოგვარდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები 20 წლის განმავლობაში და ასახელებთ სამ ძირითად მიზეზს: საერთაშორისო აქტორების — ეუთოს, გაეროს და ევროკავშირის არასაკმარისი ძალისხმევა; რეგიონში სხვადასხვა სახელმწიფოებს (რუსეთი, აშშ, თურქეთი და ა.შ.) შორის ინტერესთა კონფლიქტი და მესამე — კონფლიქტების მოგვარების მთავარი მცდელობა საქართველოსგან უნდა მოდიოდეს, საერთაშორისო თანამეგობრობამ კი მას მხოლოდ ხელი უნდა შეუწყოს...

— ჩემთვის ახლაც ძალიან მნიშვნელოვანია... საქართველომ თავის თავზე აიღოს ინიციატივა. დღეს ჩვენ მოწმენი ვართ ახალი ტიპის კონფრონტაციისა დიდ სახელმწიფოებს შორის და არავისთვისაა საიდუმლო, რომ მათ კავკასიაში განსხვავებული ინტერესები აქვთ. მიუხედავად ამისა, ამან არ უნდა შეაჩეროს საქართველო იმისგან, რომ კონფლიქტების მოგვარებაში აქტიური როლი ეკავოს. არსებობს შესაძლებლობები, რომლებიც ჯერ არ ამოწურულა. ხოლო ძირითადი პრობლემის გადაჭრამდე — სტატუსის საკითხის გადაწყვეტამდე შესაძლებელია კულტურული და ეკონომიკური კავშირების აქტივიზაცია. ახლა თქვენ (საქართველო) სწორედ ამის კეთებას ცდილობთ. თუმცა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ნდობის აღდგენის თემა, რადგან მთავარი პრობლემა, რომელიც ამ კონფლიქტს უკავშირდება, სწორედ მხარეებს შორის უნდობლობაა.

— რა ვუყოთ ოკუპაციას? რუსეთი ხომ დღესაც დგას საქართველოს ტერიტორიაზე?!

— ეს სიმართლეა და შემიძლია, დავადასტურო, რადგან სულ რაღაც ოთხი კვირის წინ ვიყავი აფხაზეთში. მე გავიარე მთელი გზა — ენგურის ხიდიდან ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის გავლით და გავჩერდი ახალ ათონში, რათა მეგობრებს შევხვედროდი. ვადასტურებ, რომ ვნახე რუსები და ჩემთვის არ იყო ადვილი მათი ნახვა საზღვარზე სამხედრო ფორმითა და „კალაშნიკოვის“ ავტომატებით ხელში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრიზისი ან კონფლიქტი სადღაც აქვე იყო, გვერდით. ეს არ არის იმ ტიპის საზღვარი, როგორიც გვაქვს დასავლეთ ევროპაში. ეს არის ქვეყანა, რომელსაც იცავენ მძიმე შეიარაღებით. ამავდროულად, მინდა, ვთქვა, რომ არ მომწონს ტერმინი „ოკუპირებული“ და შევეცდები, ავხსნა, რატომ: წარმოვიდგინოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს რუსეთი აფხაზეთს დატოვებს. ეს არ გადაჭრის პრობლემას, ვინაიდან იგი უკავშირდება მოსახლეობას, რომელიც არ თვლის, რომ ოკუპაციას დაექვემდებარა. პირიქით, ისინი თვლიან, რომ მას იცავენ. თუმცა, მე ვამჩნევ, რომ ისინი არ გრძნობენ თავს კომფორტულად, ერთგვარ შევიწროებასა და იზოლაციას განიცდიან. მათ ქართველებთან ომის მძიმე გამოცდილება აქვთ. ამ ომის შედეგად დარჩა ტრავმირებული მოსახლეობა და ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე მდგომარეობაშია საქართველოში ის ხალხი, რომელმაც აფხაზეთი იძულებით დატოვა.

აფხაზეთში ახალგაზრდებსაც ვესაუბრე. ისინი თავს ოკუპირებულად არ თვლიან, მაგრამ გრძნობენ ყველასგან მიტოვებულად. მათ სურთ, ქართველებისგან დაცულად იგრძნონ თავი და არ სურთ, რომ ჩრდილოელმა მეზობელმა — რუსეთმა დაიპყროს. მათი თქმით, მათთვის იდეალური იქნებოდა საკითხის იმგვარად გადაწყვეტა, რომ ყველა თავს დაანებებდა და მშვიდად განვითარების შესაძლებლობას მისცემდა. მე მსგავს განწყობებს ძირითადად ახალგაზრდებში ვხვდები. მათ არ გამოუვლიათ ომი. ისინი იხედებიან გარშემო და ეძებენ ალტერნიტოვას. გარდა რუსეთისა, მათ სურთ, დაინახონ ის, რაც ხდება ევროპაში, შეხვდნენ იქ მეგობრებსა და კოლეგებს. ისინი ხედავენ, რომ ეს ძალზე რთულია ვიზებისა და პასპორტების მიღებასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემის გამო. ვფიქრობ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ ვითარების შესახებ. ასე, რომ როდესაც ვსაუბრობთ ოკუპაციაზე, ეს პრობლემის მხოლოდ ერთი ასპექტია.

— რა თქმა უნდა, მე სწორედ ეს მინდოდა მეთქვა — ჩვენ დღეს ვსაუბრობთ ამ ვითარების სხვადასხვა შრეებზე.რაც ახლა აღწერეთ, არ გამორიცხავს იმას, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია. თქვენ ბრძანეთ ის, თუ როგორ აღიქვამს რეალობას ხალხი, რომელიც იქ სადღეისოდ ცხოვრობს, მაგრამ ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია და ეს საკითხის მნიშვნელოვანი ნაწილია. რატომ გადავედი ამ საკითხზე? მინდა, გკითხოთ: ხედავთ თუ არა სადღეისოდ რაიმე შესაძლებლობას, რაიმე ბერკეტს დასავლეთის ხელში, რომ აიძულოს რუსეთი, წავიდეს საქართველოს ტერიტორიიდან?

— ეს საკითხი დიდი სპეკულაციებისკენ გვიბიძგებს. როგორი ვითარება გვექნება 20 წლის შემდეგ, ვფიქრობ, ვერ ვიწინასწარმეტყველებთ. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რა გსურთ თქვენ და როგორ შეძლებთ საკუთარი პოზიციის მიტანას პარტნიორებამდე და მოწინააღმდეგეებამდე — როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ. ჩემი აზრით, ჩვენ უნდა შევთანხმდეთ შემდეგზე: რუსეთის ინტერესებში ვერ იქნება სწრაფვა, მუდამ საკუთარ კონტროლქვეშ ამყოფოს კავკასიის გარკვეული ხალხები. ეს ეხება მის ჩრდილოეთ ნაწილს. როგორც იცით, მას ბევრი პრობლემა აქვს ჩეჩნეთთან, დაღესტანთან — ყველგან, სადაც კი გაიხედავ. ჩემი აზრით, რუსეთის ინტერესებშია, გადაჭრას უსაფრთხოების ის პრობლემები, რომლებიც კავკასიაში მცხოვრებ ეთნოსებს უკავშირდება. მისთვის პრობლემას უნდა წარმოადგენდეს ფინანსური ასპექტიც. მხედველობაში მაქვს ის, რომ დღეს ის უზარმაზარ თანხებს ხარჯავს — აფინანსებს აფხაზეთის ბიუჯეტის 70%-ს, სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტის 90%-ს. რუსეთში ღიად არ ამბობენ, რამდენს ხარჯავს სახელმწიფო ამ საქმეებზე. მე კი ვისურვებდი, რომ ამ თემაზე დებატები დაწყებულიყო და დარწმუნებული ვარ: ამ ქვეყნის მოსახლეობა დიდხანს არ შურიგდებოდა იმას, რომ მისი ხელმძღვანელობა კიდევ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფარავდეს ამ ქვეყნების ხარჯებს. ამ და სხვა მიზეზებით გრძელვადიანი უსაფრთხოება კავკასიაში ვერ იქნება გარანტირებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გარეშე.

თუ ცოტა უფრო ფართოდ შეხედავთ მოვლენებს, მიხვდებით, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთი არც ისე შორსაა, არც ისე შორსაა შუა აზიაც. თუ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში მუდმივად გექნებათ კონფლიქტები, ეს დაძაბავს ვითარებას მთელს რეგიონში. ეს კი, რა თქმა უნდა, თავის მხრივ, გავლენას იქონიებს მათ ურთიერთობებზე ევროპასთან. ევროპა ძალიან კრიტიკულად არის განწყობილი იმ პოლიტიკის მიმართ, რომელსაც რუსეთი კავკასიაში აწარმოებს. ეს არის სწორედ მთავარი დაბრკოლება რუსეთსა და ევროპას შორის ურთიერთობებში. თუ რუსეთი ყველაფერ ამას გაითვალისწინებს, ვფიქრობ, იგი მიხვდება, რომ უნდა იპოვოს გამოსავალი სიტუაციიდან და დაიწყოს სწრაფვა მოკავშირეებისა და მეგობრების და არა მტრების მოძიებისკენ სამხრეთ კავკასიაში. ეს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა მის პრობლემებს რეგიონული მასშტაბით.

— აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ამჟამად არ არიან საერთაშორისო წარმომადგენლობები, დამკვირვებლები.რამდენად რეალურია, უახლოეს მომავალში იქიდან ინფორმაციის მოწოდება არა მხოლოდ კერძო პირების მიერ დაიწყოს?

— ძალიან მოხარული ვიქნები, თუ მსგავსი რამ მოხდება. შემიძლია, ვთქვა, რომ როცა აფხაზეთში ვიყავი,გულწრფელი წუხილი დავინახე იმის გამო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ ეს ტერიტორიები და დღეს ისინი (აფხაზები) ისე ოზილირებულად გრძნობენ თავს, როგორც არასდროს. ძალიან მოხარული ვიქნებოდი, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომელიც 2008 წელს იყო მიღებული, გადახედილიყო.

„აძცენტი“
accent.com.ge

დედამიწის ზურგზე

„სამხედრო დანაშაული“

Amnesty International-ის სამართალდამცველი მკვლევარების თანახმად, სირიაში რუსეთის ავიადარტყმების მსხვერპლი შემოდგომის განმავლობაში სულ ცოტა 200 კაცი გახდა. თანაც ისინი ცხოვრობდნენ იმ რაიონებში, სადაც ისლამური სახელმწიფოს შესაძლო ტერორისტული აქტების შესახებ არავისთვის არაფერია ცნობილი.

სტამბოლის აეროპორტში გაისმა აფეთქების ხმა

ეს მოხდა თვითმფრინავების სადგომის ზონაში ღამის 2 საათზე, როდესაც იქ მგზავრები არ ყოფილან. დაიჭრა 2 თანამშრომელი, რომლებიც საბიხ გიოკჩენის სახელობის აეროპორტს ასუფთავებდნენ. საგანგებო შემთხვევის მიზეზი ზუსტდება.

ნავი მიგრანტებით საბერძნეთის სანაპიროზე ჩაიძირა: დაიღუპა 10 კაცი

ხელისუფლების მონაცემებით კიდევ 13 კაცი — 11 მამაკაცი და 2 ქალი — გადაარჩინეს. 2 კაცი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მიმდინარეობს მათი ძებნა. სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობენ შვეულმფრენი, საპატრულო კატარღა და კერძო ხომალდები.

ჩინეთში გადაარჩინეს მამაკაცი, რომელიც ზვავის ჩამოწოლის ადგილზე 67 საათი ნანგრევებში იმყოფებოდა

19 წლის ტიან ცზენინი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, გაუკეთეს ოპერაცია. მისი მდგომარეობა სტაბილურია. გადარჩენილმა მამაკაცმა განაცხადა, რომ მის გვერდით ზვავის ქვეშ არის კიდევ ერთი კაცი. თავდაპირველად იტყობინებოდნენ, რომ ისიც გადარჩა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ მაშველებმა ცხედარი ამოიღეს.

პარიზის ტერორისტული აქტების მომენტიდან საფრანგეთში არ შეუშვეს 3,4 ათას კაცზე მეტი

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში გვესაუბრნენ უფრო მკაცრი კონტროლის შესახებ, რომელიც შემოიღეს 13 ნოემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ. მაგალითად, ქვეყანაში გასული თვე-ნახევრის განმავლობაში უშიშროების თვალსაზრისით არ შეუშვეს 3,4 ათასზე მეტი კაცი. საფრანგეთის ტერიტორიაზე დაკავეს 346 კაცი. ამ ზომების წყალობით მოახერხეს, აღეკვეთათ ტერორისტული აქტი ორლეანში გასულ კვირას.

ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲘᲦᲠᲛᲘᲡᲔᲣᲚ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲡ!

ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲗ წყვდიადია და უმეცრება. არავინ ცდილობს ამგვარ ვითარებაში, თუნდაც, მბჟუტავი სინათლე შემოიტანოს. აზრობრივი სფერო მინდობილი აქვს ქათმისტვინა ჟურნალისტებს (ენა არ მომიბრუნდება დაღვინებულ, ასაკოვან ჟურნალისტებზე ამგვარი რამ ვთქვა), დოლარზე გაყიდულ ეგრეთ წოდებულ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს და კაცთმოძულე საპაკისტებს.

ამას წინათ ტელევიზიით გამოვიდნენ – კანდელაკი, ქუთელია და მაჭავარიანი, რომლებმაც მიმოიხილეს მიმდინარე პროცესები და უახლესი წარსულის მოვლენები. სრული უმეცრება. მათზე არავითარი კრიტიკა არ გაჭრის. თითოეულ მათგანს ყური უნდა აახლიჩო და ხელში დააჭერინო. ამგვარი რამ გააკეთა ბატონმა გუნცაძემ. მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ ამ არამზადას (კანდელაკს) სახეში გამეტებით „ჩააფარა“. არავითარი წინააღმდეგობა, პროტესტი. ალბათ იფიქრა, ემანდ უფრო არ გავაბრაზო და ცემით სული არ ამომხადოსო. ისე კი, მოგეცათ ლხენა, სიტყვებით დევთა ჯოგს შეებრძოლება.

ზემოხსენებული სამეული ფიზიკურად მაგონებს (ცნობილია, რომ ულამაზესი ადამიანიც კი რომელიმე ცხოველს ჩამოგავს, ამიტომ აქ პიროვნების შეურაცხყოფასთან საქმე არ გვაქვს) პირდაფჩენილ, უბუმბლო ბარტყებს, რომლებიც მშობლების მოსვლას ელოდებიან, რათა პაწაწა კუჭები გამოიძღონ.

წერილში მცირე ზომის რემარკა იმიტომ ჩავურთე, რომ მკითხველისთვის ნათლად მეჩვენებინა ის სავალალო მდგომარეობა, რაც დღეს ხდება საქართველოს ინტელექტუალურ სფეროში.

აშკარაა, რომ პოლიტიკით დაკავებულ ადამიანებს, სხვადასხვა საგნის სპეციალისტებს არ ძალუძთ მოვლენების სიღრმისეული გაშუქება, მაგრამ, როდესაც საკითხი ეხება უახლესი წარსულის მოვლენებს, ამ შემთხვევაში სად არიან ისტორიკოსები? ქვეყანას რატომ არ შეაწევენ ერთ მართალ სიტყვას? – გასაკვირია, ღმერთმანი. პროფესორ-მასწავლებლებს სიმართლის თქმის ეშინიათ (ხალხი ჩამქოლავსო), ან არ იციან რაში მდგომარეობს ეს სიმართლე. ამ ყაიდის პროფესორები ლექციებს უკითხავენ სტუდენტებს, სტუდენტები მასწავლებლებად ქცეულები ასწავლიან ბავშებს... ამიტომაც ვერ ნახავთ ახალგაზრდას, რომელთანაც სერიოზული საუბრის გამართვა შეიძლება. სავსებით ვეთანხმები პროფესორ გვანცა კვარაცხელიას, რომელმაც განაცხადა – საქართველოში არ მეგულება ახალგაზრდა, რომელთანაც მნიშვნელოვან საკითხზე სერიოზული, საგნობრივი მსჯელობა წარიმართოსო.

საქართველოში ძალიან უჭირთ კომპლექსურად გაანალიზონ მოვლენა. სიცხადისთვის მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ბრმებს წარუდგინეს სპილო და მოსთხოვეს ამ გიგანტური ცხოველის დახასიათება. ბრმამ, რომელიც კუდს შეეხო, განაცხადა, ცოცხს ჰგავსო; ვინც ფეხს შეეხო კი თქვა: – ბოძსო; ხორთუმის შემხებმა ბრმამ – სპილო რეზინის მილს მიამსგავსა, ყურის შემხებმა –- დუმფარას. ბუნებრივია, ერთობლიობაში ვერც ერთმა ბრმამ სპილოს ნამდვილი სახე ვერ წარმოიდგინა. ამგვარადვე იქცევიან საქართველოში პოლიტიკით დაკავებული ადამიანები – მათ არ ძალუძთ მომხდარი მოვლენებიდან სწორი დასკვნების გამოტანა და ამის მიხედვით სამოქმედო პროგრამის შემუშავება. ელემენტარულ თეორიულ საკითხებშიც კი ვერ ერკვევიან. არ იციან, რომ ყველა სახელმწიფო ერთმანეთთან იმთავითვე დაპირისპირებულია. სწორად მსჯელობს ნოე ჟორდანია, როდესაც ამბობს: **„საგარეო პოლიტიკა არსებობს იმიტომ, რომ არსებობს ქიშპობა და ბრძოლა სხვადასხვა ერთა და სახელმწიფოთა შორის. ამ საერთო შუღლში თითოეული მისი მონაწილე ცდილობს, რასაკვირველია, გადარჩეს და გაიმარჯვოს. ქართველი ერი ერთი ამ მონაწილეთაგანია და იძულებულია, თავი დაიცვას და გადარჩეს, როგორ, რა გზით – ეს საკითხი მას მუდამ ედგა წინ და მას სჭრიდა თავისებურად“.**

ეს მოსაზრება გვავალებს ყველა სახელმწიფოსთან გვქონდეს ურთიერთობა. ზოგთან ინტერესთა თანხვდენა გვექნება, ზოგთან - არა, მაგრამ საერთო ჯამში ინტერესთა ჯამმა უნდა მოგვცეს ქვეყნისთვის სასარგებლო, ასე ვთქვათ, ბალანსი.

ეს მოვლენა შეიძლება შევადაროთ სხეულზე მოდებული ძალების ტოლქმედს. თუ სხეულზე მოქმედებს ერთი მიმართულების ძალები, მაშინ მისი ტოლქმედი გამოიანგარიშება არითმეტიკული ჯამით, თუ მოქმედებს სხვადასხვა მიმართულების ძალები – ტოლქმედი გამოისახება გეომეტრიული ჯამით.

ახლა ყველა იმაზე ლაპარაკობს, თუ რომელ სახელმწიფოსთან დავამყაროთ მჭიდრო ურთიერთობა. რასაკვირველია, ყველა სახელმწიფოსთან უნდა გვქონდეს შეხება. ზოგან ეს „შეხება“ უფრო მჭიდო იქნება, ზოგთანაც – ნაკლებად მჭიდრო. გააჩნია, ვისთან ურთიერთობა მეტი სარგებლის მომტანია. ასეთ კითხვასაც სვამენ: რუსეთთან ურთიერთობამ უფრო მეტი სარგებელი მოგვიტანა თუ თურქეთთან? ამგვარი კითხვის დასმაც უმართებულოა. სწორი იქნება თუ ვიტყვით: რუსეთთან ურთიერთობამ მეტი ზიანი მოგვიტანა თუ თურქეთთან?

ამის გასარკვევად ასე მოვიქცეთ: ვაჩვენოთ, ყოველგვარი „შელამაზების“ გარეშე თითოეულ მათგანთან ურთიერთობის შედეგად მიღებული ზიანი.

რუსეთმა საქართველოს მიერთება დაიწყო 1800 წლიდან და გააუქმა ქართული სამეფოები და სამთავროები. ამ ფაქტს ქართველი ხალხი ვერ შეეგუა და რუსეთის წინააღმდეგ მრავალჯერ მოაწყო შეიარაღებული აჯანყება. იმ მიზნით, რომ მკვიდრი მოსახლეობა მინიმუმამდე შემცირებულიყო, რუსი კოლონიზატორები საქართველოში ასახლებდნენ უცხოტომელებს, ხელს უწყობდნენ ქართული მიწების გაყიდვას. საქართველო ნაწილ-ნაწილ იყიდება – ასე გოდებდა მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე. იკრძალებოდა ქართული ენა, ქართული ენის სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ყოველგვარი საქმის წარმოება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. რუსული იმპერია ასე ფართოვდებოდა – დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს უმოკლეს დროში ამოწყვეტდა ან არუსებდა. ასე ვთქვათ, ეს მცოცავი გარუსების პოლიტიკა სამხრეთით და აღმოსავლეთით განუხრელად წინ მიიწევდა. ცნობილია, მრავალი ჩრდილოეთ კავკასიელი ერი ამ „პოლიტიკამ“ აღგავა პირისაგან მიწისა. ეს მზაკვრული ქმედება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მაშინდელი კაცობრიობის თვალსაჩინო ადამიანებს და დიდ სახელმწიფოებს გაერთიანებისკენ მოუწოდებდნენ, რათა რუსული იმპერიის ეს მზაკვრული განზრახვა როგორმე შეეჩერებინათ. მაგალითად, მარქსი აქტიურად იყო ჩაბმული რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის, ასე ვთქვათ, კამპანიაში. იგი დაბეჯითებით თხოვდა ოსმალეთის იმპერიას, საფრანგეთს, ინგლისსა და გერმანიას, გაერთიანებულიყვნენ და ერთიანი ძალით წარემიათ რუსეთისთვის ყირიმი, კავკასია, შუა აზია, ყაზახეთი და ციმბირი, რათა საბოლოოდ წერტილი დასმოდა რუსული იმპერიის აღვირახსნილ ასიმილატორულ პოლიტიკას.

სწორედ ერთმორწმუნე რუსეთმა გაგვიუქმა ავტოკეფალია. რუსეთს ევროპის ჟანდარმს უწოდებდნენ.

„როდესაც განაწამები მოსახლეობა საჩივარს წერდა და მდგომარეობის შემსუბუქებას მოითხოვდა, ადგილობრივი რუსული მმართველობა მთიულების ამ „საქციელს“ რუსი ხელმწიფისადმი მიცემული ფიცის გატეხად და ამბოხებად თვლიდა და დამსჯელი ექსპედიციით აწიოკებდა. ასე მაგალითად, ჟამურელებმა იჩივლეს, პასუხად მათ დამსჯელი ექსპედიცია მოევლინა ანანურის კაპიტან-ისპრავნიკ სტაროსვეტსკის მეთაურობით. თუ როგორ დასაჯა ისინი კაპიტან-ისპრავნიკმა, ამის შესახებ ჟამურელები წერდნენ: **„ამას წინათ ის (კაპიტანი) ჟამურს მოვიდა, დაიჭირა ოსები. გობში, საიდანაც ძაღლები სვლეპდნენ, შრატი ჩაასხა, დახოცა კატები და შიგ ჩაყარა, შიგვე ჩაყარა ადამიანის სიბინძურე და მათ აჭამა. იმავე ოსებს რვა სახლი დაუწვა, სადაც 300 კოდი ქერი დაიღუპა“** („საქართველოს ისტორიის ნარკვევი“, ტომი IV, გვ. 916). დამეთანხმებით – ჯერ არსმენილი ფაქტია.

გასული საუკუნის ათიან წლებში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. სამი წლის შემდეგ მოდერნიზებულმა რუსეთის იმპერიამ დამოუკიდებელი საქართველო მთელი სისასტიკით მოახრჩო. არც 24 წლის აჯანყების მონაწილე უბირი ახალგაზრდები დაინდო და ოთხიათასამდე ადამიანი დახვრიტა. აგრეთვე, რუსულ იმპერიას შავ ლაქად აზის ეგრეთ წოდებული 37 წლის რეპრესიები. შემომედავებიან – ეს რეპრესია რუსმა ხალხმა კიდევ მეტი დოზით განიცადაო. სწორია, მაგრამ ეს რეპრესიები რუსული იმპერიის გასაწმენდად და გასაძლიერებლად განხორციელდა, რამაც სრული ასი პროცენტით შეასრულა თავისი მოვალეობა.

1919 წლის 14 მარტს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს მთავრობამ მოთხოვნა გაგზავნა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ელიარებინათ საქართველოს საზღვრები ამ მოთხოვნის შესაბამისად. **კრემლმა უმალვე განგაშის ზარები შემოჰკრა – საქართველოს თურქეთის ტერიტორიის ნაწილის მიტაცება სურს და არიქა, ვუშველოთ „საწყალ“ ქვეყანას – არავინ დაჩაგროსო. მართლაც, ბოლშევიკური რუსეთის მიერ ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვანი ნაწილი 1921 წელს თურქეთს გადაეცა.** რატომ „ზრუნავდა“ რუსეთი თურქეთისთვის, სხვა სტატიებში ვრცლად მაქვს განხილული.

როგორც ცნობილია, დამოუკიდებელი (1918-21 წ.წ.) საქართველოს ტერიტორია 90 ათას კვ.კმ. აჭარბებდა, ხოლო რუსეთმა ეს ფართობი 70 ათას კვ. კილომეტრამდე დაიყვანა.

ხშირად მოვისმენთ – რუსეთთან მიერთების მომენტში ქართველების რიცხოვნობა 900 000 სულს არ აღემატებოდა, ამჟამად 3 მილიონს ვაჭარბებთო. ხსენებულ 900 ათას ქართველს ნორმალური პირობები რომ ჰქონოდა, დღეს სულ მცირე ექვსი მილიონი უნდა ვიყოთ. მაგალითად, თურქეთი 1921 წლის მონაცემებით 13 მილიონს არ აჭარბებდა, ამჟამად ეს ციფრი 80 მილიონამდე ავიდა. იმ დროისთვის პლანეტის მოსახლეობა მილიარდიც არ იყო. თვით ისეთი მძლავრი სახელმწიფო, როგორიც სპარსეთი იყო, მოსახლეობის მხრივ კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

კრემლმა ასიმილაციის დაჩქარების მიზნით ორიგინალურ მეთოდს მიაგნო. თუ აქამდე გავრცელებული წესის თანახმად კოლონიზატორები კოლონიებიდან ნედლეულს ქაჩავდნენ და მეტროპოლიაში განთავსებულ ქარხნებში ამუშავებდნენ, – ახალი მეთოდის მიხედვით – პირიქით ხდებოდა: საბჭოთა კავშირის ცენტრალური ნაწილიდან პერიფერიებში ნედლეული გადაიქაჩებოდა და პერიფერიებში განთავსებულ ქარხნებში მუშავდებოდა. ამ მზაკვრული მეთოდის მიზანი რა იყო? – ბუნებრივია, ადგილობრივი მოსახლეობა ვერ უზრუნველყოფდა საწარმოს მუშახელით, შედეგად ხდებოდა სხვა მხარეებიდან მუშახელის შემოდინება. ეს პროცესი მისდაუნებურად იწვევდა სხვადასხვა ერთა აღრევას, ასიმილაციას. ბოლო ხანებში ოფიციალურადაც კი გამოცხადდა, რომ საბჭოთა ხალხის საბოლოო მიზანია გაერთგვაროვნება ეროვნებათა მიხედვით, ესე იგი საბჭოთა ხალხის ერთ ერად ჩამოყალიბება. ამ პროცესს თვით რუსმა ხალხმა შეუშალა ხელი, დარწმუნდნენ რა, რომ თვით რუსები მოხვდებოდნენ ასიმილაციაში მზარდი მაჰმადიანურ მოსახლეობასთან. **პატრიოტულად განწყობილი რუსი ინტელიგენცია არც მალავდა საბჭოთა კავშირის დაშლის სურვილს, რათა რუსები არ აღრეულიყო სხვა ხალხებში. საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ–ერთ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს ხსენებული ფაქტორიც.**

რუსული გენერალიტეტი საიდუმლოდ ინახავდა შემდეგს: თუ **საბჭოთა კავშირს შიგნიდან ან გარედან დიდი საფრთხე დაემუქრებოდა, თითს ღილაკს დააჭერდნენ და პლანეტას ბირთვული ომის კვამლში გაახვევდნენ. გორბაჩოვის დიდი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს გენერლები არ მიუშვა ხსენებულ ღილაკამდე. ნიშანდობლივია, რუსები ამჟამადაც იმუქრებიან ბირთვული იარაღის გამოყენებით.**

ყველაფერი ამის მიუხედავად, საჭიროა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. ქართველმა ხალხმა კატასტროფული შეცდომა დაუშვა, როდესაც 1989 წლის აპრილში საბჭოთა იმპერიას დაუპირისპირდა. რუსები მყისვე სეპარატისტების მხარეზე დადგნენ, შედეგად კი დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო.

პუტინის ამჟამინდელი საჯარო გამოსვლა – ვიზების და

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თაობაზე მეტად ყურადსაღებია და მათ განხილვა სჭირდება.

გადავიდეთ თურქეთზე.

თურქეთის წინაპარი ხალხი მოსულია შორეული ალტაიდან. ეს ხალხი მცირე აზიის ტერიტორიაზე დასახლდა მაშინ, როდესაც გლობალურად მიმდინარეობდა ხალხების ადგილსამყოფელის ხშირი მონაცვლეობა. ასეთ ვითარებაში ხსენებულმა ხალხმა, როდესაც შემდგომში ოსმალები დაერქვა, დაიკავა ბიზანტიის, სომხეთის, საქართველოს და სხვა მეზობელი სახელმწიფოების ნაწილი. ეს ის დროა, როდესაც ხალხები ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ დაპირისპირებულები. ამ დაპირისპირებამ მრავალი ერი აღგავა პირისაგან მიწისა.

მსოფლიოს გამოჩენილი ექსპერტების აზრით, კაცობრიობის ისტორიაში ოსმალეთის იმპერია ყველაზე ჰუმანური იმპერია იყო. რასაკვირველია, თუ შესაძლებელია იმპერიას ჰუმანური ეწოდოს. **საქართველო სწორედ სპარსეთის, ოსმალეთის, ბიზანტიის იმპერიების გარემოცვაში იყო ძლიერი. როგორც ვიცით, მე-14 საუკუნიდან იწყება საქართველოს უკუსვლა, თუმცა, გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს მან ნაწილობრივ მაინც დაიბრუნა წარსულის დიდება.** რასაკვირველია, არ ვაკნინებ შემდეგდროინდელი საქართველოს მეფეების ღვაწლს. ყველაფერს უსასრულო ობიექტური ფაქტორები განაპირობებენ. როგორც იტყვიან, დრონი მეფობენ და არა მეფენი.

ზემოხსენებული ექსპერტების აზრით საქართველოს სამხრეთ ტერიტორიის მიტაცება და იქ მცხოვრები ქართველების გამაჰმადიანება ოსმალეთმა მაშინ დაიწყო, როდესაც ქართველმა მეფეებმა მოისურვეს ერთმორწმუნე რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება და დარიალის ხეობის „გახსნა“. სპარსეთი და ოსმალეთი დღენიადაგ შთაგონებდნენ ქართველ მეფეებს, თუ რუსეთს საქართველოში შემოუშვებდნენ — თვით საქართველო მყისვე დაკარგავს დამოუკიდებლობას და მათ სუვერენიტეტსაც საფუძველი შეერყევა.

აბა, კარგად დავუკვირდეთ შემდეგ გარემოებას. **საქართველო, განსაკუთრებით კი მისი დასავლეთი ნაწილი, ხშირად ყოფილა ოსმალეთის იმპერიის ვასალი, მაგრამ მას არც ერთხელ ფიქრადაც არ მოსვლია დასავლეთ საქართველოს სამთავრობოებისა და სამეფოს გაუქმება, ავტოკეფალიის გაუქმება.**

მავანი იმაზეც შემომედავება — ოსმალეთის იმპერიამ აჭარა მიიტაცაო, მაგრამ იმაზე არაფერს ამბობს, თუ რუსეთმა მე-19 საუკუნეში მთლიანად რომ მიიერთა საქართველო, გააუქმა სამეფოები და შეუდგა ქართველი ხალხის ასიმილაციის საქმეს. განმეორებით ეს მოხდა 1921 წელს, ხოლო თანამედროვე ვითარებაში საქართველოს წაგლიჯა აფხაზეთი და სამაჩაბლო.

რუსეთუმეები იმასაც კი ამბობენ, 1921 წელს საქართველოში რუსები რომ არ შემოსულიყვნენ, თურქეთი დაიპყრობდა საქართველოსო. მცდარი მოსაზრებაა. თურქეთს არასგზით არ აძლევდა ხელს რუსეთთან უშუალოდ საზღვრის ქონა. მისთვის სასურველი იყო მათ შორის ბუფერული სახელმწიფოს ყოფნა. აი, რას ამბობდა ათა თურქი: „თურქეთს სჭირდება ძლიერი მეზობელი და ასეთ მეზობლად შეიძლება საქართველო იქცეს“.

რასაკვირველია, პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას და შემდეგ პერიოდში თურქეთს სურდა საქართველოს სამხრეთ ტერიტორიის გარკვეული ნაწილის მითვისება და არა საქართვთელოს მთლიანად დაპყრობა. ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, რატომ არ სურდა თურქეთს საქართველოს დაპყრობა.

როგორც ამბობენ, თურქეთი საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეა. ასეთ ვითარებაშიც კი ფხიზლად უნდა ვიყოთ, რამეთუ ამგვარი ურთიერთობის პირობებში არ მოხდეს თურქეთის გადამეტებული „ყურადღების“ გამოჩენა საქართველოსადმი, რაც უკვე აშკარად შეიმჩნევა აჭარაში და თვით თბილისშიც კი (მხედველობაში მაქვს დავით აღმაშენებლის პროსპექტზე განთავსებული თურქული სავაჭროები).

რასაკვირველია, იმის მტკიცებას არ დავიწყებ, რომ მთლიანად ამოვწურე დასმული საკითხი, მაგრამ, ვფიქრობ, მსჯელობა სწორი მიმართულებით წავიყვანე. დაე, სხვებმა კიდევ უფრო მეტი თქვან ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, რაც ჭეშმარიტებასთან კიდევ უფრო დაგვაახლოებს.

დასკვნა: ყველა სახელმწიფოსთან ურთიერთობისას საჭიროა თვალყური ვადევნოთ მათ ქმედებებს და შესაბამისად მოვიქცეთ.

ონისე მწარიაშვილი

◎ საბანკო სფერო

მოძრაობა ერთი მიმართულებით

უახლოეს მომავალში საქართველოს საბანკო სფეროში უაღრესად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდება: გაზაფხულზე საპარლამენტო ფონდის ბაზაზე დაფუძნებული განვითარების ბანკი (ან კორპორაცია, სახელწოდება ჯერჯერობით საბოლოოდ დადგენილი არ არის) დაიწყებს მოღვაწეობას, რომლის სარეორგანიზაციო სამუშაოები ამის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაიწყო. ახალი ფინანსური სტრუქტურის მიზნები, არსებითად, იგივე იქნება, რაც საპარტნიორო ფონდის, კერძოდ, ბიზნეს-პროექტების დაფინანსება, ოღონდ საქმიანობის მეთოდიკა, ცხადია, განსხვავებული.

უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის საფინანსო ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობაზე ლაპარაკი კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროიდან მოყოლებული იყო, მაგრამ მისი ფრთაშესხმა მხოლოდ ახლაღა იწყება. ამ საქმეში საპარტნიორო ფონდის მთავარი კონსულტანტები მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩინეთის განვითარების ბანკის სპეციალისტები არიან. საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელის **დავით საგანელიძის** თქმით, მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა განვითარებულ და განვითარების გზაზე მდგომ ქვეყანაში დაახლოებით 250 განვითარების ბანკი მოქმედებს, მათ შორის ჩინეთის ბანკი, თავისი 1,4 ტრილიონი დოლარის საგარეო აქტივებით, ერთ-ერთი უდიდესია — მარტო შარშან მისმა სუფთა მოგებამ 11 მილიარდი დოლარი შეადგინა.

— ჩვენი სიტყვიერი შეთანხმების შემდეგ, ჩინეთის განვითარების ბანკმა თურქეთის ფილიალიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონი — საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი — გამოყო და წარმომადგენლობა თბილისში გახსნა, — განაცხადა ბატონმა დავით საგანელიძემ. — ჩინეთის განვითარების ბანკმა საქართველოსთვის, პირობითად, 500 მილიონი დოლარი გამოყო, რა დროსაც აღინიშნა რომ ეს პირველი ტრანშია და თუკი ქვეყანაში განვითარების ბანკი შეიქმნება, რომელიც 10 მილონი დოლარის ღირებულების პროექტს დააფინანსებს, ისინი მზად არიან, ამავე პროექტში გაცილებით მეტი სახსრები დააბანდონ.

უნდა ითქვას, რომ **განვითარების ბანკის საქმიანობა სამეწარმეო თუ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დაბალპროცენტიანი სესხებისა და საბანკო გარანტიების გაცემა, ასევე ობლიგაციების გამოშვება იქნება. ამასთან, მას აკრძალული ექნება დეპოზიტებზე სახსრების მიღება და ანგარიშების მომსახურება, რადგან მთავარი მიზანი მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური ხელშეწყობაა.** განვითარების ბანკის (თუ კორპორაციის) კლიენტები მხოლოდ იურიდიული პირები იქნებიან, ხოლო დაფინანსების მხრივ პრიორიტეტი ინოვაციურ პროექტებს ექნება, რომელთა ფინანსურ მხარდაჭერას კომბანკები დიდად ერიდებიან. თავად ბანკის მიერ სხვა წყაროებიდან ფულადი სახსრების მოზიდვისას, უზრუნველყოფა მისი აქტივებით მოხდება, რომლებიც, კერძოდ ასეთია: **სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები — „საქართველოს რკინიგზა“, „ საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაცია“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი “ (100-100 პროცენტი), ასევე „თელასი“ (25 პროცენტი).**

თავად საპარტნიორო ფონდს დღემდე რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი აქვს განხორციელებული, მათ შორის, **გაშენდა მოცვის პლანტაცია და მისი გადამმუშავებელი სადგური, ასევე რამდენიმე მაღალი კლასის სასტუმრო სხვადასხვა მხარეში — ბორჯომში, ახალციხეში, ყვარელში, მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობა ქვემო ქართლში. ახალი დაწყებულია ორი დიდი პროექტი — მდინარე ნენსკრაზე ჰიდროელექტროსადგურისა და ანაკლიაში დიდი სატვირთო ნავსადგურის მშენებლობები.**

უნდა ითქვას, რომ როგორც მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, სხვადასხვა ქვეყნის განვითარების ბანკები მართალია, უცხოურ კაპიტალს საკმაოდ ხშირად კი იზიდავენ, მაგრამ თავიანთ მოღვაწეობაში, ძირითადად, სახელმწიფო, უმეტესად სარეზერვო სახსრებს იყენებენ, რომლებიც პროფიციტური (დაგეგმილზე მეტი შემოსავლის მიღებისას წარმოშობილი — **რედ.**) ბიუჯეტის პირობებში იქმნება. სადღეისოდ სახელმწიფო ხაზინაში, ნაშთის სახით 600 მილიონ ლარზე მეტია დაგროვილი, რომელთა განთავსებასთან დაკავშირებით სპეციალისტები მთავრობას ამ სახსრების სწორედ განვითარების ბანკში მოთავსებას ურჩევენ, რის განხორციელება სავსებით შესაძლებელია.

ბევრი ექსპერტი იმ აზრს გამოთქვამს, რომ განვითარების ბანკის აქციონერები ასევე შეიძლება გახდნენ მსხვილი კერძო მეწარმეები, რომლებსაც სახელმწიფო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილი ექნებათ. ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი ბიზნესის, განსაკუთრებით საბანკო სექტორის წარმომადგენლები, განვითარების ბანკის შექმნის იდეას თავდაპირველად დიდი უნდობლობით და სიფრთხილით შეხვდნენ, რადგან მასში კომერციული ბანკების უშუალო კონკურენტს ხედავდნენ, რომლის ამოქმედება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას საგრძნობლად შეაფერხებდა. ბანკირების აზრით, საქართველოში არასამთავრობო საფინანსო კორპორაციის მსგავსი სააგენტო უნდა დაარსებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებდა ქვეყანაში საინვესტიციო გარემოზე. ამჟამად ეს შიში, უმთავრესად, გაქარწყლებულია იმ მარტივი მიზეზით, რომ **განვითარების ბანკის და კომბანკების მოღვაწეობა სხვადასხვა სიბრტყეში წარიმართება, ვინაიდან პირველი არც დეპოზიტებს მიიღებს, არც იურიდიული თუ ფიზიკური პირების ანგარიშებს არ მოემსახურება, მათზე არც კრედიტებს არ გასცემს. ამასთან, საქმიანობის განსახორციელებლად, განვითარების ბანკს არც ეროვნული ბანკის ლიცენზია დასჭირდება და, შესაბამისად, არც მის რეგულაციაში მოექცევა.** ამავე დროს, ექსპერტები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ განვითარების ბანკმა დიდი როლი შეიძლება შეასრულოს და უნდა შეასრულოს კიდეც სამამულო მეწარმეობის განვითარების საქმეში, ვინაიდან ადგილობრივი კომბანკების წილი რამდენადმე დიდი პროექტის განხორციელებაში, სამწუხაროდ, ძალიან მცირეა, რაც უწინარესად, მაღალი დონის რისკებით და კიდევ კაპიტალის სიმწირით აიხსნება.

განვითარების ბანკმა საქართველოს ეკონომიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს იმის გათვალისწინებითაც, რომ, მართალია, ჩვენი საბანკო სისტემა რეგიონში კი არის გამორჩეული, სამაგიეროდ ფინანსური სექტორის სხვა სეგმენტები ნაკლებადაა განვითარებული. კერძოდ, **საბანკო სექტორში თავმოყრილია ქვეყნის საფინანსო სფეროს აქტივების აბსოლუტურად უმეტესი ნაწილი (93 პროცენტი), სადეპოზიტო და სასესხო ოპერაციებში საკრედიტო კავშირები, ფაქტობრივად, არანაირ მონაწილეობას არ იღებენ, არსებითად განუვითარებელია სალიცენზიო სფერო, ცუდადაა განვითარებული სადაზღვევო სექტორი და კერძო საპენსიო ფონდების ბაზარი. მართალია, საბანკო სექტორის მომსახურებათა ჩამონათვალი (ანუ საბანკო პროდუქტების ნუსხა) საკმაოდ ვრცელია, მაგრამ ეკონომიკის განვითარებისთვის, განსაკუთრებით კი საშუალო და მცირე მეწარმეობისთვის უმნიშვენლოვანესი — იაფიან კრედიტებზე წვდომა — უაღრესად შეზღუდულია. ამის მთავარი მიზეზი კი, რაზეც არაერთხელ გვქონია ლაპარაკი, კომბანკების დაბალრისკიანი მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების გაცემაზე ორიენტაციაა.**

ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, ცხადია, რომ განვითარების ბანკი (კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ეს სახელწოდება ჯერჯერობით პირობითია) კომბანკებს არანაირ კონკურენციას არ გაუწევს: ის მათ კი არ დაუპირისპირდება — მათთან ერთი მიმართულებით იმოძრავებს, მას სხვა როლი დაეკისრება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რომლის ტემპის დასაჩქარებლად ფინანსური ბაზრების სხვა სეგმენტებიც, რომლებზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, აუცილებლად უნდა განვითარდეს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ეროვნული გვარდიის იუბილე თელავში

საქართველოს ეროვნულ გვარდიას 25 წელი შეუსრულდა. გვარდიის პირად შემადგენლობას და ვეტერან გვარდიელებს პროფესიული დღე ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჩვენებელმა ორკესტრმა კონცერტით მიუღოცა. საზეიმო ღონისძიება თელავის დრამატულ თეატრში გაიმართა და მასში სამხედრო ორკესტრის გარდა ანსამბლი „ქართველები“ და ცნობილი ქართველი აკორდიონისტი ვანიანო ხაჩიძე მონაწილეობდნენ. დასს დირიჟორობას კაპიტანი კობა მერმანიშვილი უწევდა.

საიუბილეო ღონისძებას ეროვნული გვარდიის მაღალჩინოსნები და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდნენ.

ღონისძიების დაწყებამდე, დარბაზში მყოფმა სტუმრებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული 600 გვარდიელის ხსოვნას პატივი წუთიერი დუმილით მიაგეს. საღამოზე ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები შესრულდა.

გვარდიის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის, ვიცე-პოლკოვნილი მამუკა ცხვედიანი, მაიორი ზურაბ სიდამონიძე და მაიორი მევლუდ ასლანიშვილი სამსახურებრივი საშტატო იარაღით დაჯილდოვდნენ.

საზეიმო ცერემონიალის დასასრულს გვარდიის შესახებ სპეციალური ფილმის ჩვენება მოეწყო.

უსუფაშვილი დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის აუცილებლობას ვერ ხედავს

დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის აუცილებლობას ვერ ხედავს პარლამენტის თავმჯდომარე. დავით უსუფაშვილი ასევე, არ თვლის საჭიროდ, საკუთარ პირველ მოადგილესა და საპროკურორო საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდეთ. ასე პასუხობს პარალმენტის თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილის მოთხოვნებს. უსუფაშვილის განცხადებით, შეწყალების კომისიის საქმიანობაში არავინ ერევა. პარლამენტის თავმჯდომარე ყველას ურჩევს, რომ დაელოდონ გამოძიების დასრულებას.

KFW ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე „გადამცემი ქსელი II ღია პროგრამის გაფართოება“ – მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე (საკონსულტაციო მომსახურება)

საკონსულტაციო მომსახურება (ენერგეტიკის სექტორი - მაღალი ძაბვის ქვესადგურები და ელექტროგადამცემი ხაზები) წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა: 2016 წლის 5 თებერვალი (ადგილობრივი დროით 15:00 საათი)	
ქვეყანა:	საქართველო
საიდენტიფიკაციო ნომერი:	BMZ No. 201568286
წინასაკვალიფიკაციო ეტაპი:	მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე
ტენდერის სახელწოდება:	საერთაშორისო ღია ტენდერი „500 კვ ელ.გადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხე“ მშენებლობის, „ჯერიის და ჩრდილოეთის რგოლი-წყალტუბოს გადამცემი ინფრასტრუქტურის გაძლიერების“ პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინისთვის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე
პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია (PEA):	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე)
დამფინანსებელი:	„გერმანიის ფინანსური თანამშრომლობა“ KfW განვითარების ბანკის სამუალებით
საპროექტო ღონისძიებები:	ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების და პირველადი დიზაინის შემუშავებისთვის საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს შემდეგ ხუთ (5) ძირითად ქვე-პროექტს: a) ელექტრო გადამცემი ხაზი (ეგხ) „წყალტუბო-ახალციხე“, ახალი 500/220 კვ ქვესადგური „წყალტუბო“ და „ახალციხის“ ქვესადგურის 500 კვ ფრთის გაფართოება; b) „ჯერიის ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის გაძლიერება“: ახალი 220/110 კვ ქვესადგურის (ქს) „ოზურგეთი“ მშენებლობა და 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის შეერა, ახალი 110 კვ ქვესადგურის „ჩოხატაური“ და ახალი ორჯაჭვა 110 კვ ხაზის „ოზურგეთი-ჩოხატაური“ მშენებლობა; c) „ჩრდილოეთის რგოლი - წყალტუბო“, რომელიც მოიცავს შესაბამის ქვესადგურებს (იყოფა სამ ქვე-პროექტად: c1, c2, c3) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მიზანს წარმოადგენს ტექნიკური, ფინანსური და ეკონომიკური ანალიზი, რათა პროექტის განმახორციელებელმა კონსულტანტმა მოამზადოს სატენდერო დოკუმენტაცია ქვე-პროექტებისთვის მიწოდებისა და მშენებლობის საერთაშორისო და ტენდერისთვის. აღნიშნული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების მომზადებისას კონსულტანტი პასუხისმგებელია პროექტთან დაკავშირებულ ყველა ისეთ საკითხზე, როგორიცაა მაგალითად (ოპტიმალური) მარშრუტის შერჩევა (აღტერნატიული ვარიანტების ჩათვლით), გაზომვები, ტექნოლოგიური შერჩევა, ეკონომიკური ეფექტიანობა და გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება, ასევე) მას უნდა უზრუნველყოფდეს დიზაინისა და შედეგების შესაბამისობა სსე-ს (შესაბამისი კანონმდებლობის) მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან.
მოთხოვნილი საკონსულტაციო მომსახურება:	კონსულტანტისგან მოთხოვნილი მომსახურება მოიცავს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის/PIU-სთვის საინჟინრო და დიზაინის მომსახურების გაწევას, რომელიც გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: – ადნიშნულ პროექტთან დაკავშირებული ადრე ჩატარებული კვლევებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა/ განხილვა; – არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების გამოკვლევა; – ასაშენებელი სადგურისთვის საჭირო ძირითადი სამუალებების იდენტიფიკაცია და მათი საჭარაუდო ხარჯების დადგენა; – პროექტის სრული ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება, რათა • განისაზღვრის შემოთავაზებული სცენარ(ებ)ის ტექნიკურად განხორციელებადობა, მათ შორის ალტერნატივების შემუშავება და შესაბამისი ხარჯების დადგენა; • მომზადდეს ტექნიკური დიზაინი (პირველადი დიზაინი) ისე, რომ განმახორციელებელ კონსულტანტს მიეწოდოს საჭირისი ტექნიკური ინფორმაცია, რათა შეძლოს პროექტების დაინტერესება საერთაშორისო სტანდარტებით. – პროექტის განხორციელების საჭარაუდო გეგმის, მიწებზე დამუშავების, დერეფნის განსაზღვრის, ხარჯთაღრიცხვის, დაგეგმილი შესყიდვების, დეტალური დიზაინის მოსალოდნელი ხანგრძლივობისა და სხვ შემუშავება. კონსულტანტის სამუშაოს მოცულობა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისთვის მოიცავს ყველა ზემოთ აღნიშნულ ქვე-პროექტს. კონსულტანტის დავალების საჭარაუდო ხანგრძლივობა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების, მათ შორის, პირველადი დიზაინის, დამუშავებისთვის შეადგენს დაახლოებით 6 თვეს პროექტებისთვის: a, b და c1-ის პირველი ნაწილი. დანარჩენი ორი ქვე-პროექტი c2 და c3 მომზადდება მოგვიანებით, შემდეგ ეტაპზე. საკონსულტაციო მომსახურების წინა საკვალიფიკაციო ეტაპი განხორციელდება „პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობით კონსულტანტების შერჩევის სახელმძღვანელო პრინციპების“ (Guidelines for Assignment of Consultants in Financial Cooperation with Partner Countries) ბოლო გამოცემის მიხედვით. (ეწვიეთ KfW განვითარების ბანკის ვებ-გვერდს www.kfw-entwicklungsbank.de). საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად შეირჩევა დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანია, რომელსაც გააჩნია მაღალი ძაბვის სექტორში (მაღალი ძაბვის ქვესადგურების და ელექტროგადამცემი ხაზების დიზაინი და განხორციელება) და რეგიონში მუშაობის დადასტურებული გამოცდილება. წამყვანი კონსულტანტის და ყველა მისი პარტნიორის ერთობლივი ბრუნვა ბოლის 3 წლის განმავლობაში უნდა აღემატებოდეს 15,0 მილიონ ევროს, აქედან, თანხის 80% უნდა მოდიოდეს წამყვანი პარტნიორის ბრუნვაზე. დამატებითი ინფორმაციის მიღება სსე-სა და ტენდერის განმახორციელებელი საგენტის მიერ შესაძლებელია, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:
სსე	ჭ-6 მაია ფიცხელაურს/PEA სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა No.2 ტელ: .: +995 322 510 263 ფაქსი: +995 32 2 983704 ელ.ფოსტა: maya.pitskhelauri@gse.com.ge;
ტენდერის განმახორციელებელი საგენტი:	INTERBUSINESS Consulting & Services GmbH Att. Dieter Budecker Friesenstrasse 2E. 61348 Bad Homburg v.d.H. / Germany Phone: +49 (0) 6172-2679142 Fax: +49 (0) 6172-2679143 E-Mail: mail@ibusinessos.de

KfW Financed Open Program Transmission Network II - Invitation for Expression of Interest (Consulting Services)

Consulting Services (Energy Sector - HV Substations and Transmission Lines) Deadline: February 5th, 2016 (15:00 local time in Georgia)	
Country	Georgia
Reference-No.:	BMZ No. 201568286
Prequalification:	Invitation for Expression of Interest
Ref.:	International open tender for "Consulting Services for Feasibility Studies and Preliminary Designs for the 500 kV OHL Tskaltubo - Akhaltsikhe, Reinforcement of Transmission Infrastructure of Guria and North Ring Tskaltubo".
Project Executing Agency:	Georgian State Electrosystem JSC ("GSE")
Financing:	German Financial Cooperation through KfW Development Bank.
Project measures:	The consulting services for the elaboration of Feasibility Studies (FSs) and Preliminary Design include the following main five (5) sub-projects: a) Overhead transmission line (OHL) Tskaltubo - Akhaltsikhe, new 500/220 kV substation Tskaltubo and extension of 500 kV switchgear of substation Akhaltsikhe; b) Reinforcement of Transmission Infrastructure of Guria: Construction of the new 220/110 kV substation (SS) Ozurgeti and link in of a 220 kV Overhead transmission line, new 110 kV substation Chokhatauri and new double-circuit 110kV line Ozurgeti-Chokhatauri; c) North Ring Tskaltubo including related substations (divided in three sub-projects; c1, c2 and c3). The purpose of the FS's are to provide a technical, financial and economic view in order that the implementation consultant can prepare the tender documents for international public bidding for the supply and construction of the sub-projects. In carrying out this feasibility studies, the consultant shall address all issues related to the project; i.e. (optimal) routing (including alternatives), sizing, technology selection, economic viability and environmental and social impact as well as ensure that the design and results conform GSE (applicable legislation) requirements and international standards.
Requested Consulting services:	The requested services of the consultants comprise in general provision of expertise of engineering and design to the project executing agency/PIU including, but not limited to: – familiarization/review of the previous studies and relevant documents related to this project, – accommodation of the existing feasibility studies, – identification of major items of plant to be installed and clear establishment of their expected costs, - preparation of full project technical documentation to: • determine technical feasibility of the proposed scenario(s) including alternatives and establish the costs, • prepare technical design (preliminary design) such that the implementation consultant will have sufficient technical background to allow him to tender the projects internationally. – improvement and development of a tentative project implementation plan, access to land, corridor availability, cost estimates, planned procurement cycle, expected duration of detailed design, etc. The consultant's scope of work for the FS's will comprise all above-mentioned sub-projects. The estimated duration of the Consultant's assignment for the elaboration of the Feasibility Studies including Preliminary Design will be approx. 6 months for project a, b and first part of c1. The other two sub projects c2 and c3 shall be prepared time-delayed at a later stage. This prequalification for consulting services will be guided by the latest version of the „Guidelines for Assignment of Consultants in Financial Cooperation with Partner Countries" (refer to homepage of KfW Development Bank www.kfw-entwicklungsbank.de). It is foreseen to assign the services to an independent consultant firm with proven experience in the High Voltage Sector (design and implementation of HV Substations and Transmission Lines) and in the region. The combined turnover of the lead consultant and all associated partners for the last 3 years shall exceed EUR 15,0 million, whereas the lead partner needs to achieve 80% of this value. Further information will be made available upon request by GSE and the Tender Agent (TA) under the following addresses:
GSE	Att. PEA / Mrs. Maya Pitskhelauri Georgian State Electrosystem JSC 2, Baratashvili St. Tbilisi 0105, Georgia Phone: +995 32 2 510 263 Fax: +995 32 2 983704 E-Mail: mailto:maya.pitskhelauri@gse.com.ge
Tender Agent:	INTERBUSINESS Consulting & Services GmbH Att. Dieter Budecker Friesenstrasse 2E. 61348 Bad Homburg v.d.H. / Germany Phone: +49 (0) 6172-2679142 Fax: +49 (0) 6172-2679143 E-Mail: mail@ibusinessos.de

ვასილის თავისუფლება და გარდაცვალება

1960 წლის იანვარში საშამ დამირეკა: „მამაჩემი ჩამოვიდა. წამოდი“. „მადლობა ღმერთს!“. – გავიფიქრე მე, ეტყობა ვადა გაუვიდა და, როგორც იქნა, მთელი ოჯახი შეიკრიბა ერთად. წავედი ნოვოსლობოდსკაიას ქუჩით იმის სურვილით, რომ, უწინარეს ყოვლისა, მენახა და გავცნობოდი თავად ვასილ იოსების ძეს. შემდეგ, ვფიქრობდი მე, როდესაც მექნება შემთხვევა, შევეკითხები, თუ რატომ არ მიმიღო სამგლოვიარო დღეებში. მაგრამ როდესაც ის დავინახე, სურვილი – მეკითხა ამის შესახებ უმალვე გამიქრა. ქუჩაში მე მას ვერ ვიცნობდი, თუმცა ვასილის სახე კარგად ვიცოდი ფოტოებით. ჩემი წარმოდგენით, სამხედრო-საჰაერო ძალების მოხდენილი გენერლის ნაცვლად დავინახე მეტად გამელოტებული, შეუხედავი, ჩემი სიმაღლის საცოდავი ადამიანი. მოგვიანებით გალინა ალექსანდრეს ასულმა მიამბო მისი პრობლემების შესახებ ფეხებთან, კუჭთან და გულთან დაკავშირებით.

1953 წლის მარტის დღეებში იმდენად იყო ტრავმირებული, ძნელად რომ გაეთვითცნობიერებინა თავისი საქციელი. მამის სიკვდილს ის თავის დასასრულს უკავშირებდა. ეცალა კი ჩემთვის? ციხემ თავისი საქმე გააკეთა, მან დაასახიჩრა ვასილი, თუმცა, ბოლომდე ვერ გატეხა. ის ვადამდე გაათავისუფლეს. ტუსაღის, სტალინის სიკვდილი სასურველი არ იქნებოდა. ფრუნზეს სანაპიროზე მას სამოთახიანი ბინა მისცეს (ცალკე სახლის ნაცვლად), დაუბრუნეს მანქანა „პაკარდი“, მისცეს 30 ათასი მანეთი და უფასო საგზური კისლოვოდსკში. გენერლის კოსტიუმის კომპლექტი გზაში ხელახლა უნდა განეახლებინა. ნადია მოვიდა მე-2 პესჩანნაიას ქუჩაზე და წაიღო ორი ჩემი სამხედრო პერანგი ჰალსტუხებით. კისლოვოდსკის შემდეგ ვასილი უშედეგოდ ითხოვდა, მიეცათ მისთვის სამსახური. უსაქმურობის გამო იწყებს სმას და გაწბილებული ცდილობს, მოხვდეს ჩინეთის საელჩოში. თანაც, თავისდა საუბედუროდ, უშვებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას უცხოელების მონაწილეობით. ვასილს კვლავ აპატიმრებენ და უკვე იმავე წლის აპრილში კვლავ აღმოჩნდება ციხეში.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა „ვ. სტალინის დანაშაულებრივი ანტისაზოგადოებრივი ქცევის გამო გაუქმებულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 11 იანვრის დადგენილება ვ. სტალინის შემდგომი დასჯისაგან, ნასამართლობის მოხსნისა და ვადამდელი გათავისუფლების შესახებ; გაიგზავნოს ვ. სტალინი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოსახდელად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1955 წლის 2 სექტემბრის განაჩენის შესაბამისად“.

1961 წლის აპრილში ვასილი გადაასახლეს ქალაქ ყაზანში 5 წლის ვადით, გვარით ჯუღაშვილი. ყაზანში მას გამოუყვეს ერთოთახიანი ბინა „ხრუშჩოვკაში“ უკანასკნელ სართულზე №5 სახლში გაგარინის ქუჩაზე. მასთან ერთად იქ ჩასახლდნენ მისი ახალი ცოლი მარია ნუზბერგი (შევერგინა), რომელიც მან საავადმყოფოში გაიცნო და მისი ორი ქალიშვილი, რომლებიც ვასილმა იშვილა. „თავისუფლებაში“ ყოფნის ერთი წელიც არ იყო გასული, რომ 1962 წლის 19 მარტს ვასილი გარდაიცვალა. მამის გარდაცვალების შესახებ საშამ შემატყობინა. კაპიტოლინა ვასილის ასული, ვასილის ერთ-ერთი დაურეგისტრირებელი ცოლი, საშასთან და ნადიასთან ერთად გაემგზავრნენ დაკრძალვაზე. სვეტლანა იოსების ასული არ წასულა, თუმცა, მოსკოვში იყო. ვასილი დაკრძალეს ყაზანში არსკის სასაფლაოზე. საკმაოდ მოგვიანებით, ერთ-ერთმა ნაშვილებმა ქალიშვილმა ცხედარი მოსკოვში გადაასვენა ტროეკურის სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულია მათი დედა. ამბობენ, რომ ამ სასაფლაოზე ძირითადად ჩეკისტებს ასაფლავებენ. მამის მოსკოვში გადმოსვენების შესახებ საშამ გაზეთებიდან გაიგო.

ი.ბ. სტალინის მემკვიდრეობა

დამირეკა სვეტლანა იოსების ასულმა. მითხრა, რომ ნახეს მისი მამის შემნახველი წიგნაკი თანხით 30 ათასი მანეთი. „გადავწყვიტე, გამენაწილებინა ეს ფული, – მითხრა მან, – შემდეგნაირად: მამას სამი შვილი ჰყავდა. თანხას სამად ვყოფთ – თითოეულს ათი ათასი. იაშას ორი შვილი ჰყავს. მაშასადამე, თითოეულს ხუთ-ხუთი ათასი. ვასიას ჰყავს ოთხი, მაშასადამე, თითოეულს – ორნახევარი ათასი. ჩემი ნაწილი, 10 ათასი, მიმაქვს მე“.

საპასუხოდ მას მადლობა გადავუხადე სამართლიანი გადაწყვეტილებისათვის. „აი, შენმა დამ მე ისტერიკა მომიწყო. მას მიაჩნია, რომ მას ეკუთვნის იაკობის მთელი წილი და არა რაღაც ნახევარი“.

რა იყო ეს ფული, რომელიც მემკვიდრეობით მერგო დიდი პაპისაგან? შავი პური 1,35 მანეთი ღირს, თეთრი – 2,80, კარტოფილი – 40-50 კაპიკი, საქონლის ხორცი – 12,8 მანეთი, ქაშაყი – 9-11, შაქარი – 9,50, არაყი – 40 მანეთი, მამაკაცის პალტო 600-800 მანეთი, ველოსიპედი – 600 მანეთი.

ახალი ავტომობილი „მოსკვიჩი“ მაშინ 8 ათასი მანეთი ღირდა და ავტომობილები თავისუფლად იყიდებოდა, შეიძლებოდა დაგეგროვებინა ან გესესხა... მაგრამ მიღებული ფულით მე გადავწყვიტე მეყიდა პიანინო, ვინაიდან დედას ძალიან უნდოდა გამხდარიყო მუსიკოსი და კარგად უკრავდა სხვადასხვა ინსტრუმენტზე, ახალგაზრდობაშიც ურიუპინსკში უკრავდა პიანინოზე კინოთეატრებში მუნჯი კინოფილმების ჩვენების დროს.

კვლავ საქართველოში

როდესაც შვებულებაში მივდიოდი, ყოველთვის მახსოვდა პარტიის გორის რაიკომის მეორე მდივნის რევაზ ალექსანდრეს ძე ბზიშვილის სიტყვები: „ხშირად ჩამოდით, წამოიყვანეთ თქვენი მეგობრები“. პირველ ხანებში ის და მე ერთმანეთთან ვიყავით „თქვენობით“. 1962 წელს ის პარტიის გორის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. შვებულებაში აპირებდა წასვლას ვოლოდია პლოტკინიც თავის საყვარელ ყირიმში. შევძელი მისი დაყოლიება – ერთი კვირით „შეგვერბინა“ საქართველოში. ჯერ ერთი, ორნი უფრო მხიარულად გავატარებდით

ევგენი ჯუღაშვილი

პაპაჩემი სტალინი. „ის წმინდანია“

ევგენი ჯუღაშვილი შვილიშვილებთან ერთად

დროს, მეორეც, ის არასოდეს ყოფილა საქართველოში.

წინასწარ დეპეშით შევატყობინე რ.ა. ბზიშვილს, თუ როგორ შეხედავდა ის ჩვენს ჩასვლას. პასუხი დაუყოვნებლივ მივიღე: „გელოდებით“. ამ დეპეშას დღემდე ვინახავ. შემდეგ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც კალეიდოსკოპში. ჩვენთან ერთად მუდამ იყვნენ ოთარ და ლეილა კორინთელები, მათი ქალიშვილი ლიანა, ვაჟიშვილი მიშა და ლეილას და ლაურა. ჩვენი სტუმარი ვოლოდია პლოტკინი დასაწყისში, ჩემი აზრით, აღფრთოვანებული იყო. მაგრამ შემდეგ ყოველდღიური პურმარილი მოსწყინდა. ორი-სამი დღის შემდეგ ჩვენ მოგვათავსეს დასასვენებელ სახლ „პლატოში“ ქ. ბორჯომში. „უჰ, მადლობა ღმერთს, – მითხრა ვოლოდიამ, – ახლა უკვე ნამდვილად დავისვენებთ“. მაგრამ ამის თქმა მან იჩქარა.

ბორჯომელმა ბიჭებმაც იცოდნენ „თავიანთი საქმე“. სად არ დავყავდით და ყველგან – სუფრა. დასასვენებელ სახლში „გვიტაცებდნენ“ დამსვენებლები. რა დასვენება, რის დასვენება. ვოლოდია გვთხოვდა, რომ გაგვეშვა სახლში. ერთხელ კვლავ გვეწვია კომპანია. ვოლოდიამ განაცხადა კატეგორიული უარი სადმე წასვლაზე: „მოდი, შენ წადი, – მითხრა მან, – მე აქ ვიქნები“. მაშინ ერთ-ერთმა სტუმარმა მას მიმართა: „რა გაეწყობა, კარგი, ძვირფასო, გვესმის შენი. ბიბლიოთეკაში წასვლა შეგიძლია?“ „ბიბლიოთეკაში, – გაუკვირდა ვალოდიას, – რასკვირველია, უარს არ ვიტყვი“. წავედით. მივედით ერთ ადგილზე და ავდივართ კიბეზე. მოულოდნელად ვალოდიამ გვერდში მხარი გამკრა და მომმართა: „შეხედე“! ავწიე თავი: ჩვენს წინ დიდი ასოებით ეწერა „რესტორანი“. გვერდით კი, ჯერ კიდევ შეუმშრალი საღებავით ფანერაზე ეწერა: „ბიბლიოთეკა“. ვალოდია და მე მივხვდით, რატომ გაფუჭდა მანქანა გზაში ნახევარი საათით. მეტი რა საქმე გვქონდა, კვლავ მივუსხედით სუფრას. ერთი დღის შემდეგ ვალოდია წავიდა.

ნანა ნოზაძე

ნოე გონგლაძემ ასევე გამაცნო ხაშურელი ამხანაგები. მათ შორის აღმოჩნდა თენგიზ ჯაფარაშვილი, ის უცოლო იყო, ჩვენ დავმეგობრდით. ერთხელ ის ჩამოვიდა და დამპატიჟა თბილისში ფეხბურთზე. ჩემთვის, მოსკოველისთვის, ჩავსულიყავი ფეხბურთზე ათასი კილომეტრის იქით (თბილისამდე 180 კილომეტრია) უცნაური სურვილი იყო. მაგრამ იმის შესაძლებლობა, რომ კიდევ ერთხელ ჩავსულიყავი დედაქალაქში, არ შემეძლო, უყურადღებოდ დამეტოვებინა. არ მახსოვს, ვინ თამაშობდა თბილისის „დინამოსთან“, მაგრამ ჩვენმა „დინამომ“ გაიმარჯვა. ამის აღნიშვნა გადაწყვიტეს თენგიზის ნათესავთან აპოლონ ნოზაძესთან. ეს ჩვენ ვიყავით ვალდებული, აღგვენიშნა მის მიერ ბილეთების შეძენა სტადიონზე. აღმოჩნდა, რომ, თურმე, ის თავისი შვილის კახის დაბადების დღეს აღნიშნავს. ბინაში 50-ზე მეტი კაცი შევიკრიბეთ. ახალგაზრდა გოგონები ჩემს პირდაპირ დასვეს. მასპინძელმა, როდესაც მათ ანაწილებდა სუფრაზე, იხუმრა: „ევგენი, აირჩიე!“ როდესაც ბინაში შევდიოდი, ხელის ჩამორთმევით ვეცნობოდი ამ გოგონებს. ერთ-ერთმა მათგანმა, ჩვენი ხელების შეხების დროს, მოულოდნელად უკან გააქანა ხელი. თურმე, დენმა დაარტყა. მთელი საღამოს განმავლობაში ყურადღებას არ ვაქცევდი გოგონებს. ყურადღებით ვუსმენდი თამადას, რომელიც, ეტყობა, ჩემს გამო ნაწილობრივ რუსულად ლაპარაკობდა. მე ვსწავლობდი „ჩემს უნივერსიტეტებში“! თვალყურს ვადევნებდი, თუ როგორ უნდა იქცეოდე სუფრაზე, როგორ დააწყო ქართული პური, რა უნდა ილაპარაკო და როდის. ღამე იქვე გავათენე სავარძელში, მაგიდასთან ახლოს რომ იდგა. დილით შევნიშნე, რომ ერთ-ერთი გოგონა მოვიდა, რომ დახმარებოდა დიასახლისს სუფრის ალაგებაში, ჭურჭლის დარეცხვაში. ამჯერად, სავარძელში ჯდომის დროს, ყურადღებით დავაკვირდი ამ გოგონას, და საუზმის შემდეგ, როდესაც თენგიზმა გადაწყვიტა, ეჩვენებინა თბილისი, მე ვთხოვე წამოეყვანა ეს დამხმარე. ნანა დიდხანს ამბობდა უარს, „ყველაფერი არ ამილაგებიაო“. აპოლონმა დაითანხა. დაჯდა ნათელასთან, – აპოლონის ცოლთან. თბილისის დათვალიერების ბოლოს მთაწმინდაზე ასვლის წინ შევედით წასახემსად რესტორანში. მითხრეს, რომ რესტორანი ლ.პ. ბერიას მითითებით აშენდა. აქედან გრანდიოზული სანახაობა იშლებოდა. „დათვალიერების დროს განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას – გვეუბნებოდა აპოლონი, – ვღებულობთ ღამით, როდესაც სახლებისა და ფანრების შუქი დიდი კოცონის ნაკვერჩხლებს მოგვაგონებს, ზოგიერთები კი, ამბობენ, ღამის თბილისს ადარებენ „ვარსკვლავიან ცას, მთის ძირს რომ ჩამოვარდა“. როდესაც მთიდან დაბლა ვეშვებოდით, მე ვთხოვე, შევსულიყავით ნანასთან მისი სურათებისათვის. როდესაც ფოტოგრაფია მივიღე, მშვიდობიანად დავბრუნდი ბორჯომში პლატოზე დასასვენებელ სახლში.

როდესაც მარტო ვიყავი ოთახში (ვალოდია წავიდა), ხშირად მივდიოდი ფოტოსთან, ტუმბაზე რომ იდო, და ყურადღებით ვათვალიერებდი სახის ნაკვთებს, რომელთა ხილვაც სულ უფრო და უფრო ხშირად მინდოდა. ოთარ კორინთელმა მომიტანა უზარმაზარი ყუთი მსხლით, ვაშლითა და ატმით. შემომთავაზა გაგვესეირნა გორში. მაგრამ მე უკვე თბილისისკენ მიმიწევდა გული. თენგიზ ჯაფარაშვილს დავყავდი ბორჯომის მიდამოებში, ახალდაბის თბილ წყაროებზე. იქ თბილი წყალი მიწიდან ამოდიოდა. ადგილობრივმა ბიჭებმა ააშენეს აუზი და აბანო. აუზში ვიბანავე მეც. ამბობდნენ, რომ ზამთარში ცხელი წყლის ეფექტი თოვის დროს დაუვიწყარია. თბილად შემხვდა პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ზაალ აბაზაძე. ერთხელ კი თენგიზმა ღამით წამიყვანა, რათა ეჩვენებინა, თუ როგორ იჭერენ ხაშურელი მეთევზეები მტკვარში თევზს. იდეა მარტივია: მდინარის ზედაპირზე აყრიან სპეციალურ ფხვნილს. თევზი, თითქოს ნახევრად მძინარი, მიცურავს დინების მიხედვით და ხვდება ბადეში, მდინარეზე რომაა გადაჭიმული. მაგრამ მე მაინც თბილისისკენ მიმიწევდა გული. თენგიზი რამდენჯერმე პოულობდა საქმეს და ჩამოდიოდა ჩემთან. შვებულება კი მითავდებოდა. თბილისში მორიგი ჩამოსვლის დროს წავედით ნანასთან სახლში. ყველა ერთად ავედით მთაწმინდაზე. მანქანაში ვიყავით თენგიზი, მე, აპოლონი ნათელასთან და ნანასთან ერთად. მე მას ვთხოვე, წამოსულიყო ჩემთან ერთად მოედანზე, საიდანაც ჩვეულებრივად ტურისტებს უყვართ ქალაქის პანორამის დათვალიერება. ბნელოდა, ქვემოთ თბილისი ცეცხლში ელვარებდა, ისმოდა, მუსიკის ხმა რესტორნიდან. აქ, მთელი ქალაქის ფონზე, მე მას სიყვარული ავუხსენი. მცირე ხნის დაყოვნების შემდეგ ის ატირდა. აპოლონი და მისი ცოლი მიცვივდნენ მას. ვინ იცის, რას მიედ-მოედო მოსკოველი. როდესაც მან მიზეზი აუხსნა, აპოლონისა და მისი ცოლის „განგაში“ სიცილში გადაიზარდა. თენგიზმა შემოგვთავაზა, დაუყოვნებლივ აღგვენიშნა ეს ამბავი, მით უმეტეს, რესტორანი იქვე იყო.

იმ საღამოს მე არანაირი პასუხი არ მიმიღია და წავედი ბორჯომში გაურკვეველი, თუმცა, მტკიცე რწმენით, რომ უკან არ დამეხია. შემდეგ, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, თენგიზმა მის მშობლებთან მიმიყვანა: მამა – გიორგი სიმონის ძე, დედა – მარგალიტა ალექსის ასული, ძმა გივი, და ედი შვილ ლევანთან ერთად. მამა პენსიონერია, დედა – დიასახლისი. ცხოვრობდნენ ისინი პატარა სახლში, ეკავათ ორი ოთახი. ჰქონდათ მინაშენები, სადაც იყო ერთი პატარა ოთახი და მინიატიურული სამზარეულო. შემდეგ გავიგე, რომ გიორგი სიმონის ძემ ააგო „მარანი“ ღვინისთვის. ერთი სიტყვით, თანხმობა მივიღე.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 239-241

◎ ეს პრესტიჟია საქართველოსი!

ედიშერ მაჩაიძე და თემო ყაზარაშვილი რიოს ოლიმპიადაზე იმსაჯებენ

რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებს 2 ქართველი მსაჯი მოემსახურება. აღნიშნული გადაწყვეტილება სოჭში ალექსანდრე კარელინის სახელობის ცენტრში გამართულ მსოფლიოს გაერთიანებული ჭიდაობის ფედერაციის (UWW) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე იქნა მიღებული, რომელსაც პრეზიდენტი ნენად ლალოვიჩი ხელმძღვანელობდა.

ოლიმპიადაზე სულ 50 არბიტრი იქნება მივლინებული. სამსაჯო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ანტონიო სილვესტრიმ კომისიას ლას ვეგასში მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯების შესრულებული სამუშაოს ანგარიში წარუდგინა, სადაც თითოეული მსაჯის მუშაობა კიდევ ერთხელ განიხილეს. აღნიშნულის საფუძველზე UWW-ს აღმასკომმა რიოს ოლიმპიური თამაშებისთვის მსაჯების წინასწარი სია დაამტკიცა. საბოლოო სია საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში თებერვალში იქნება გადაგზავნილი, მანამდე კი, 30-31 იანვარს რიო დე ჟანეიროში ტესტ-ღონისძიება ჩატარდება.

არსებობს მსაჯების სამი კატეგორია — სუპერვაიზერი, ინსტრუქტორი და რეფერი. ერთ ქვეყანას სამივე კატეგორიაში მხოლოდ თითო წარმომადგენლის ყოლა შეუძლია. ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ქართველი მსაჯების რაოდენობა ორამდე გაიზარდა. მოგეხსენებათ, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ ედიშერ მაჩაიძე გვყავდა, ამჯერად კი სტატუსი თემო ყაზარაშვილმაც აიმაღლა და ოლიმპიური კატეგორია მიენიჭა. ის ჩვეულებრივი მსაჯი იქნება და უშუალოდ შეხვედრებს განსჯის, მაჩაიძე კი სუპერვაიზერის რანგში მოგვევლინება, ვისაც საპროტესტო ეპიზოდებში (ჩელენჯი) ჩარევის და საბოლოო დასკვნის გამოტანა ევალება.

კოგა კოგახიძე

◎ ცურვა

მაჟორული ფინიშით

თბილისის, რუსთავის, ბათუმის, საჩხერის, ჭიათურისა და ბაქოს 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა დედაქალაქის მერიის თასის ღია გათამაშებაში, რომელსაც საწყლოსნო კომპლექსმა „ტონუსმა“ უმასპინძლა. გამარჯვებულები და პრიზიორები სამი დისტანციის ჯამში ქულათა სისტემით გამოვლინდნენ. გოგონებში მერი მუმლაძემ („ტონუსი“) იყოჩაღა — ბრასით მან 50, 100 და 200 მეტრზე 1932 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მანვე 50 მეტრზე (33,17) სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ვაჟებში თეიმურაზ კობახიძემ („დიღომი“) გაუსწრო ყველას — 50, 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით 2028 ქულას მოუყარა თავი, საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა და მერიის თასიც მოიპოვა. საჩხერელმა ლევან ბახტურიძემ 50 მეტრი ბრასით 29,21 წამში გაცურა და სპორტის ოსტატის, ხოლო ამავე დისციპლინაში მარიამ კალანდაძემ („ტონუსი“) 100 მეტრზე წუთითა და 17,5 წამით სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

სამდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ცალკეული დისციპლინების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: **თავისუფალი ყაიდა. სპრინტი (50, 100, 200 მ).** ელენე ბერაია („ტონუსი“, 1684 ქულა) და გიორგი ბიგანიშვილი („დიღომი“, 1798), **ბრასი.** მერი მუმლაძე („ტონუსი“, 1932) და ლევან ბახტურიძე (საჩხერე, 1799), **გულაღმა ცურვა.** მარიამ ჩიხრაძე („ტონუსი“, 1371) და აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 1445), **კომპლექსური ცურვა.** რუსუდან გოგინაშვილი (1571) და ვასილ ხიზანიშვილი („ტონუსი“, 1467), **ბატერფლაი.** თეიმურაზ კობახიძე („დიღომი“, 2028), **თავისუფალი ყაიდა. სტაიერი (400, 800, 1500).** ირაკლი კვარაცხელია („ტონუსი“, 1700). **4 X 50 მ. კომბინირებული.** 1. „ტონუსი“ (2.10,58) და „გლდანი“ (1.48,27). ამ შეჯიბრებით ქართველმა მოცურავეებმა წლევანდელი სეზონი დასრულეს.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: მერი მუმლაძე და თეიმურაზ კობახიძე.

◎ სანთელი

დავით პეტრიაშვილი

ჩვენი კაცი ევროპაში — ასეთად მიაჩნდა ბევრს დავით პეტრიაშვილი და არც ცდებოდნენ. დიახ, სწორედ მისებრ ღრმად განსწავლული პროფესიონალი და იშვიათი პიროვნული ღირსებებით გამორჩეული ახალგაზრდა უნდა წარმოადგენდეს ქვეყანას სამშობლოდან შორს, საერთაშორისო სტრუქტურებში, საქართველოსა და ქართველებზე სათანადო იმიჯი რომ ჩამოუყალიბდეთ.

ტაშკენტის 1964 წლის „ოქროს შემოდგომის“ ერთ-ერთი შემოქმედის, ასევე უბედური ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპული გურამ პეტრიაშვილის ვაჟი ჩინებულად თამაშობდა ფეხბურთს და სპორტულ ჟურნალისტთა გუნდ „ჩემპიონის“ ლიდერიც გახლდათ, საყვარელი სახეობის ერთგულება კი მოგვიანებით საშინაო და საერთაშორისო ასპარეზზე სამაგალითო მოღვაწეობით გამოხატა.

ალბათ, სიმბოლურია, რომ სწორედ მისი მმართველი დირექტორობის პერიოდში მიაღწია დამოუკიდებლობის ეპოქის თბილისის „დინამომ“ საუკეთესო შედეგებს: 2004 წელს ჯერ დსთ-ს ჩემპიონთა თასი მოიგო, ხოლო შემდეგ უეფას თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე გავიდა.

კიდევ უფრო გაიფურჩქნა „პეტროს“ ტალანტი უეფაში დაწინაურების შემდეგ, სადაც თამამად ანდობდნენ როგორც ფიფასა და უეფას ეგიდით გამართული უმნიშვნელოვანესი შეხვედრების დირექტორობას, ისე უმაღლესი რანგის ტურნირების — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტების წევრობას.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მისი დიდი ავტორიტეტის დამსახურებაცაა, წლეულს თბილისმა უეფას სუპერთასზე „ბარსელონისა“ და „სევილიის“ დაუვიწყარ მატჩ-სპექტაკლს რომ უმასპინძლა. აღარაფერს ვამბობთ საქართველოსთვის სხვადასხვა ტურნირების ჩატარების მონიჭების პატივზე, რაც საგრძნობი დოზით, აგრეთვე ჩვენი ძვირფასი თანამემამულის სახელს უკავშირდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დათოს პრესასთან მისაბაძი ურთიერთობის უნარი. ადამიანი, რომელიც ირგვლივ სიხალისეა და კეთილშობილებას აფრქვევდა, ბუნებრივად, თითქოს თავისთავად ხდებოდა კალმოსანთა მეგობარი, რაშიც ოჯახიშვილობით ნასაზრდოები ინტელექტი უწყობდა ხელს.

სამწუხაროა, რომ ასეთი მამულიშვილისთვის არსთა გამრიგემ მხოლოდ 46 წელი გაიმეტა. თავი მხოლოდ იმით შეგვიძლია დავიმშვიდოთ, რომ იმდენს, რაც დავით პეტრიაშვილმა ამქვეყნად მოასწრო, ზოგი გაცილებით სოლიდური ცხოვრების განმავლობაში ვერ ახერხებს.

ნათელი დაგადგეს, ძმაო!

გია პლატონიშვილი

◎ ლეგიონერი

გორგოძის მორიგი აღიარება

მსოფლიო თასის მსვლელობისას კვირა ისე არ გავიდოდა, რომ მამუკა გორგოძე სხვადასხვა ვერსიით სიმბოლურ გუნდში არ შეეყვანათ. 2015 წელი მალე მიილევა და მსოფლიო თასის სიმბოლურ 15-ეულში მამუკა ამჯერად ბრიტანულმა Allsportsnews.co.uk-მა დაასახელა.

„ნებისმიერი მორაგბე, რომელიც მსოფლიო თასზე ნაკრების ლიდერია გაჭრებში, ოფლოუდებში, ბოჭვებსა და ღლეტებში, ყურადღებას იმსახურებს. მამუკა გორგოძე ნამდვილად ასეთია“, — აღნიშნავს სტატიის ავტორი შონ დონელი.

მან ასევე დასძინა: “31 წლის გორგოძემ ტონგასთან ისტორიულ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი ლეო დაამიწა, ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსთან“ მატჩის შემდეგ კი ის საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს.

გორგოძე ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ექვს ერში მოხვედრის ერთ-ერთ კოზირად. ამასთან, გაისად იგი „ტულონს“ ზედიზედ მესამედ ჩემპიონთა თასის მოგებაში უნდა დაეხმაროს“.

ბადრი იაშვილი

◎ კალათბურთი

ცინცაძე ისევ ფრანგულ კლუბში ყოფილა

ორიოდე დღის წინათ რამდენიმე ცნობილმა ევროპულმა სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომ გიორგი ცინცაძემ „გრაველინ-დიუნკერკი“ დატოვა, თუმცა, გუშინ ქართველი კალათბურთელი ფრანგული კლუბის რიგებში ისევ გამოჩნდა და ჩემპიონატში მორიგი მატჩი ჩაატარა.

ცინცაძის გუნდმა „ლე ავრს“ სტუმრად 83:63 სძლია, ქართველმა უკანახაზელმა კი 13 წუთში 4 ქულა და 5 პასი მოაგროვა. გიორგიმ 4-დან 1 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ორქულიანი ააცილა, ბურთი 4-ჯერ დაკარგა, 1 პერსონალური ფოლი მიიღო, ხოლო მის წინააღმდეგ 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

გრაველინელთა მხრიდან 10-ქულიან ზღვარს მარკუს დავმა (15), ვენ მუკუბუმ (14), პაპე სიმამ (13) და სტივენ გრეიმ (13) გადააბიჯეს.

შედეგად, ამ გუნდმა 11 მოგება და 3 მარცხი მოაგროვა და სატურნირო ცხრილს „ლიონ-ვილერბანთან“ ერთად ლიდერობს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ პერსპექტივა

„რეალი“ მოურინიოზე სერიოზულად ფიქრობს

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ჟოზე მოურინიოს გუნდში დაბრუნებაზე სერიოზულად ფიქრობს. Cadena Ser**-ის ინფორმაციით, პერესმა შესაძლოა უახლოეს დღეებში გუნდის მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი დაითხოვოს.**

ესპანური გამოცემის ინფორმაციით, კლუბის პრეზიდენტი ესპანელს გუნდში ორგანიზებულობას უწუნებს და მის გაშვებაზე ფიქრობს.

ჟოზე მოურინიოს „ჩელსიდან“ დათხოვნის შემდეგ ინგლისური მედია პორტუგალიელს „მანჩესტერ იუნაიტედს“ უკავშირებდა, თუმცა, მწვრთნელის აგენტმა ჟორჟე მენდეშმა ეს ცნობა უარყო.

პორტუგალიელი „რეალში“ 2010-დან 2013 წლამდე მუშაობდა და გუნდს ლა ლიგა (2011/12), ესპანეთი სამეფო თასი (2010/11) და სუპერთასი (2012) მოაგებინა.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

კატალინა ოტალვარო - საახალწლო ოცნება

ახალი წელი მოდის და ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან ამ დღისთვის, ცხრა მთასა და ცხრა ზღვის იქით, კოხტად მოწკეპილ კოლუმბიაში კი ამბობენ — კარგი ახალი წელი თუ გინდა გქონდეს და ბედნიერი იყო, შენს გვერდით კატალინა ოტალვარო უნდა ნებივრობდეს.

ვინ არის ასეთი კატალინა ოტალვარო? ალბათ, ფოტოდანაც ხვდებით, რომ კატალინა ერთობ კოხტა და ეშხისმფრქვეველი ვინმეა და სწორედ ამიტომაც იქაურმა ბობოლა საფეხბურთო კლუბმა „სანტა ფემ“ დიდი ფიქრისა და სჯა-ბაასის გარეშე ეს მშვენიერი ასული თავის მუზად სცნო და დაასახელა.

კატალინა ოტალვარო რამდენიმე წლის წინათ „მის კოლუმბიადაც“ აღიარეს და ყელზეც შესაბამისი ლენტი შეაბეს, მაგრამ ასეთ ქალს ლენტი და მარყუჟი დაიჭერს? თუკი ახალსოფლელი ბაბულა ვერ დაიჭირა ხალათმა და ხირხალასთან გაჩენილი პირადი გრძნობები ეგრე თამამად აფრქვია, კატალინა, ხომ წარმოგიდგენიათ, რეებსაც იზამს...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ამოუცნობი სამყარო

მისტიკა თუ რეალობა

მსოფლიო ისტორია მრავალ ამოუცნობ ფურცელს ითვლის. საიდუმლოებებით მოცული ამბები, რომელთა ამოხსნისას ადამიანის გონი უძლურია, „ზებუნებრივი საიდუმლოებების“ რანგში გადის და დღემდე ბურუსითაა მოცული. მის შესახებ მხოლოდ თაობიდან თაობებს გადაეცემა და ზოგიერთი ცნობილი მეცნიერის კომენტარებითაც არის შეჯერებული მეტი დამაჯერებლობისთვის. მაგრამ არსებობს იდუმალებით მოცული შემთხვევები, რომლებიც სულ ახლახან ატომისა და უდიდესი თანამედროვე აღმოჩენების დროს მოხდა, ჩვენს გვერდით, ჩვენს რეალობაში, ათიათასობით ადამიანის თანდასწრებით, მაგრამ მეცნიერებს მისი ახსნა არ ძალუძთ. სწორედ ამგვარი მოვლენების შესახებ მოგითხრობთ ამ პატარა საგაზეთო წერილში, რომელიც მსოფლიოს მრავალმა მედიასაშუალებამ გაახმოვანა.

„ძალბატონი ბებია“

კენედის მკვლელობის შესახებ დოკუმენტური ფილმის დამონტაჟებისა და ნახვის შემდეგ, კადრებში აღმოაჩინეს იდუმალებით მოცული ქალი, რომელიც იქ იმ დროს არ უნდა ყოფილიყო და არც არავინ იცის მისი ვინაობა. მას ეცვა ყავისფერი პალტო და თავზე თავშალი ჰქონდა შემოხვეული. სახელიც ამ თავსაფრის გამო შეარქვეს, რადგან ამგვარ სტილს რუსი ბებიები იყენებენ. ეს ქალი გამოჩნდა როგორც ბევრ კინოკადრში, ასევე ბევრ ფოტოში, რომელიც პრეზიდენტის მკვლელობის მომენტში გადაიღეს. უფრო მეტიც, როგორც აღმოჩნდა, ფილმის გადაღების გაგრძელებისას, ის კვლავ დააფიქსირეს ოპერატორებმა, ბოლოს პოლიციამაც დაინახა, თუმცა მისი დაჭერა ვერ მოხერხდა. ის უბრალოდ გაქრა. დღემდე არ არსებობს დადასტურებული ვერსია, თუ ვინ იყო ის იდუმალებით მოცული ბებია.



ბატონი ჩოუჩანი

ბატონი ჩოუჩანი 1968 წელს გარდაიცვალა. ეს სახელი ეკუთვნის მისტიკურ, იდუმალებით მოცულ და უცნობ ებრაელ მასწავლებელს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ასწავლიდა ძალიან ბევრ წარმატებულ და ცნობილ სტუდენტს. ჩოუჩანის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით, მათ შორის უცნობია მისი ნამდვილი სახელი და გვარი. მისი ცხოვრება საიდუმლოებებით მოცულია. საფლავის ქვაზე, ურუგვაიში, სადაც იგი დაიღუპა, იკითხება: **„ბრძენი რაბი ჩოუჩანი, წმინდა გონებით. მისი დაბადება და ცხოვრება გამოუცნობია“.**

მან დიდი ინტელექტუალური რესურსი დაუტოვა თავის სტუდენტებს. როგორც ისინი იხსენებენ, ის იცვამდა როგორც მაწანწალა, მაგრამ მისი განუსაზღვრელი ცოდნა მათემატიკაში, ფილოსოფიასა და თალმუდში (იუდაიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულება) შეუდარებელი იყო. მისი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მისი სტუდენტების გადმოცემითაა ცნობილი.

ედგარ ალან პოს თაყვანისმცემელი

გადმოცემის თანახმად, რომელიც ყოველწლიურად გრძელდება და რეალობაა, ედგარ ალან პოს საფლავზე, მის დაბადების დღეს, უცნობ, შავ სილუეტს სამი ვარდი და ნახევარი ბოთლი კონიაკი მიაქვს. სილუეტს აცვია გრძელი მოსაცმელი და ახურავს შლაპა, მისი სახე არავის უნახავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენის მოწმე ბევრი ჟურნალისტი გამხდარა. ტრადიციის პატივსაცემად არავინ ცდილობს გამოელაპარაკოს ამ უცნობს.

ფულსანელი

მისი დაბადების თარიღი გაურკვეველია, მითითებულია 1839, ხოლო გარდაცვალების თარიღად — 1953 წელი. დიდი იდუმალებითაა მოცული მისი ცხოვრება და საქმიანობა, და სწორედ ამიტომ გახდა ბრენდი — „კულტურული ფენომენი“.

ის დაკავშირებულია ბირთვული იარაღის, ატომური ბომბის შექმნასთან. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ფულსანელი შეხვდა ფრანგ კოლეგას, რომელსაც ბევრი ინფორმაცია მიაწოდა ბირთვული იარაღის შესახებ, მათ შორის უთხრა, რომ მას მომავალში ადამიანების წინააღმდეგ გამოიყენებდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ბოლო ინფორმაცია მასზე არის ის, რომ ერთ-ერთმა სტუდენტმა ნახა ესპანეთში წასვლამდე. იგი ფულსანელს აღწერს, როგორც ადამიანს, რომელიც 80 წლის იყო, თუმცა ესპანეთში იმ პერიოდში არსებული ცნობა ჩასულ ადამიანზე, ვინმე ფულსანელზე, არ არის ცნობილი.

ვულპიტის მწვანე ბავშვები

ჩანაწერები მე-12 საუკუნის ბრიტანეთზე, სადაც დაფიქსირდა შემთხვევა, როცა მოსახლეობამ მწვანე ფერის, უცხო ენაზე მოსაუბრე ბავშვები ნახა, იმდენად ბევრია, რომ მეცნიერები სერიოზულ დონეზე ცდილობენ გაარკვიონ რას უკავშირდება ეს. გადმოცემისა და უძველესი ჩანაწერების მიხედვით მწვანე ბავშვებმა თანდათან ინგლისური ენა ისწავლეს და მოსახლეობას აუსხნეს, რომ სხვა პლანეტიდან იყვნენ ჩამოსულნი. მათ შესახებ მეტი ინფორმაცია აღარ არსებობს.

მოამზადა
ავთანდილ ბექაურმა

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ლიანა კვირიკაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და ბიზანტინოლოგიის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ლიანა კვირიკაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს. პანაშვიდი 22, 23 XII, 17 სთ. მისამართი: ზაჰესი, ყაზბეგის ქ. №19. დაკრძალვა 25 XII, 13 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების სახელობის ეკლესიიდან.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის 1957-1962 წლების ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი, გულისხმიერი მეგობარი და კოლეგა, აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის ღირსეული მოწაფე და საქმის გამგრძელებელი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ლიანა კვირიკაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ედუარდ (იოანე) კავთიძე ოჯახით დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს დედის

ლიანას

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

მღვდელ-მონაზონ ილია ვაშაკიძეს მღვდელმოქმედება აეკრძალა

ამის შესახებ ნათქვამია წმინდა სინოდის სხდომის ოქმში.

„წმიდა სინოდმა იმსჯელა მღვდელ-მონაზონ ილიას (ვაშაკიძე) შესახებ, რომელიც მუდმივად ავრცელებს ცილისმწამებლურ განცხადებებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებზე. იგი იყო დაბარებული საქართველოს საპატრიარქოში, მაგრამ არ გამოცხადდა. დაადგინეს: კონსტანტინოპოლის II კრების 26-ე და კართაგენის კრების მე-19 კანონების საფუძველზე, მღვდელ-მონაზონ ილიას (ვაშაკიძე) აეკრძალოს მღვდელმოქმედება“, — ნათქვამია განჩინების ტექსტში.

მეუღლე ნანა ცნობილაძე, შვილები გიორგი, თამუნა საბახტარიშვილები, სიძე გიორგი ბაგრატიონი, შვილიშვილები მუხრან, ელენე ბაგრატიონები მწუხარებით იუწყებიან

მერაბ

საბახტარიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25 XII, 16 სთ. მის: მიცკევიჩის ქ. №25, მე-7 სად. მე-6 სართული. გამოსვენება სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის ტაძრიდან 26 XII, 14 სთ. მის: კანდელაკის ქ. №6.

ძმა ვახტანგ საბახტარიშვილი ოჯახით, და მანანა გუგუშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

მერაბ

საბახტარიშვილის

გარდაცვალებას.

მუხრან ბაგრატიონი ოჯახით მწუხარებით იუწყება

მერაბ

საბახტარიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

შპს „თერგი-I“-ის და შპს „ქალაქის გული“-ს ადმინისტრაცია იუწყება

მერაბ

საბახტარიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

შპს „ოქროს კიდობნის“ ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

მერაბ

საბახტარიშვილი

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

შპს „თი ელ ჯი“-ს ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

მერაბ

საბახტარიშვილი

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

◎ დედაქალაქი

სკეიტბორდელები... კიბეზე

მეტრო „თავისუფლების მოედნიდან“ ზემოთ, მთაწმინდა-სოლოლაკისკენ ასასვლელი კიბე ყველასთვის მოსახერხებელია — მათთვისაც, ვინც ამ უბნებში ცხოვრობს თუ სამსახურში ან სტუმრად, ანდა ა. გრიბოედოვის სახელობის ან „თავისუფლების“ თეატრების სპექტაკლებზე მიდის.

არც თუ დიდი ხნით წინათ კიბის ქვედა, მეტროს სადგურის ზედა ფოიეს მიმდებარე მონაკვეთის შუაში რკინის მოაჯირი გააკეთეს, რაც დიდი შეღავათია ხანდაზმულ თბილისელთათვის თუ სტუმართათვის. მაგრამ, ბოლო დროს, ახალგაზრდებმა ეს ადგილი ბევრ ქალაქში, მათ შორის, თანდათანობით თბილისშიც, მოდად შემოსული გართობის, ეგრეთ წოდებული „პარკურის“ მსგავსი, „კალიებივით სახტუნაო“ მოედნად გაიხადეს, ოღონდ... სკეიტბორდებით.

თავისთავად, ამ გორგოლაჭებიანი ფიცრებით სრიალი სასიამოვნოც არის და კუნთების კარგი გასავარჯიშებელიც, ოღონდ ის კია, რომ ეს საამისოდ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებში უნდა ხდებოდეს და არა ქალაქის ცენტრში, სადაც უამრავი ხალხი ირევა. არადა, ასეთ მოზარდებსა და ქალიშვილებს თუ ჭაბუკებს, თბილისში ბევრ ადგილას შეხვდებით, რაც სრულიად დაუშვებელია. მეორე გარემოება, რაზეც აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება, ისაა, რომ სკეიტბორდით სასრიალოდ აუცილებელია შესაბამისი აღჭურვაც — მუხლებსა და მკლავებზე საგანგებო დამცველების გაკეთება, თავზე ჩაფხუტის დახურვა. სამწუხაროა, რომ ჩვენებური „ველური სკეიტბორდელები“ არც ერთ წესს არ ემორჩილებიან, რითაც არც სხვას უფრთხილდებიან, არც საკუთარ თავს.

ამის თვალნათელი მაგალითია, თუნდაც ჩვენი კოლეგის მიერ გადაღებულ ფოტოზე აღბეჭდილი მოზარდი, რომელიც ორიოდე დღის წინათ ახალგაზრდობის სასახლის ბაღის გვერდით კიბით ზედიზედ ხუთჯერ „ჩამორახრახდა“ და სასტიკად დაენარცხა და ლამის ცხვირ-პირი დაილეწა, თუმცა, იდაყვები და მუხლები კი ნამდვილად მაგრად გადაიყვლიფა.

გამვლელთა შეგონებას, მოზარდმა და მისმა მეგობრებმა, ცხადია, ყური არ ათხოვეს, მეტროს დაცვის პოლიციელმა კი გვითხრა — ფოიეს გარეთ რაც კეთდება, იმ ამბავში ჩარევის უფლება არ გვაქვსო...

საინტერესოა, მაშ ვის აქვს? ფეხით მოსიარულე პატრული ქალაქში დიდი ხანია, აღარ გამოჩენილა, კრწანისი-მთაწმინდის გამგეობას ნეტავ თავისი საკეთებელი საქმე გააკეთებინა, თავქარიანი სკეიტბორდელების დევნას ვინ ჩივის...

ჰოდა, დაქრიან ასე უდარდელი გოგობიჭები თბილისის ქუჩებში, კაცი არაა მათი საქციელის გამკითხავი...

დალი ხუნდაძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ სულიერება

საქართველოში წამებული მამანი და დედანი

24 დეკემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ყველა იმ წმინდანს, რომლებიც საქართველოში ეწამნენ.

ეკლესიისა და ქართველი ერის მომავლისთვის, და რასაკვირველია, ქრისტესთვის იბრძოდა და ეწამა უამრავი ქართველი...

წმიდა გიორგი მთაწმინდელმა (1009-1065 წ.) თავის დროზე სასწაულებრივ – ევრონული თვითშეგნებით ბრძანა: **„რაჟამს ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არა სადა უარგვიყოფიეს და არცა ოდენ წვალებასა მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი“.** ხოლო რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში ვკითხულობთ: **„არ გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაითგან შემეცნებასა შენსა ღირსეულ ვართ – მოწამე არს ჭეშმარიტებაი“.** უდავოა, რადგან, ყოველი ქართველის ცხოვრების ქვაკუთხედი ხომ ეგ იყო!

...24 დეკემბრის მოსახსენებელში, სწორედ ამ შეუძლებლობის გამო წერია: **„საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა შორის უნდა ვიგულისხმოთ“:** და ყველასათვის ცნობილ წმიდათა სახელებს გარდა, ქართული ანბანის მიხედვით ჩამოთვლილია მამათა და დედათა სამასამდე ქართული წარმოშობის სახელი.

ჩვენს ეკლესიებში, ტრადიციისამებრ, საზეიმო წირვის შემდეგ, ამბიონიდან მღვდელმსახურნი მრევლს, ტაძარში მყოფთ ასე მოგვმართავენ – დღეს ყველა თქვენგანის დღესასწაულიაო (რა სახელსაც არ უნდა ვატარებდეთ!), ხოლო ჯვრის მთხვევისას მგალობლები ხანგრძლივად გალობენ „მრავალჟამიერს“.

გიული ლიპარტია

◎ ექსპრომტი

ჯანსულ ჩარკვიანს

ექსპრომტი, რომელიც დაბადა საქართველოს სახალხო პოეტის ჯანსულ ჩარკვიანის სიტყვებმა: „როგორც უფალს ვერ წაართმევ ქრისტიანს,საქართველოს ვერ წაართმევ ქართველს“.

სახალხო ხარ,
თუმც ცხოვრება ხისტია,
არ მოსწონხარ „ცისფერებს“ და „ქათმებს“,
ვაჟკაცობა ვერ წაგართვეს ქრისტიანს,
შენი ლექსი ვერ წარსტაცეს ქართველს.
მერე რა, რომ ზოგს თვალებზე ბისტი აქვს,
არწივიც გყავს და ლამაზი მართვეც;
ღმერთო, რწმენას ნუ წაართმევ ქრისტიანს,
ჯანსუღის ლექსს ნუ მოაკლებ ქართველს!

ალექსანდრე შენგელია
19 დეკემბერი, 2015 წელი.

◎ რას ვჭამთ?

ჯერ წყლით „გაწმინდეთ“ სურსათი...

ჩვენი აგრარული ბაზრებისა და მაღაზიების დახლებზე ადგილობრივ სურსათს სულ უფრო იშვიათად ვხვდებით, სპეციალისტები კი „გვპირდებიან“, რომ თუ სამამულო სოფლის მეურნეობა იმავე ტემპით და გზით „განვითარდება“, როგორც ამჟამად, უახლოეს მომავალში ჩვენებური ხილი და ბოსტნეული ისეთივე უცხო რამ იქნება, როგორც უწინ ანანასი, ქოქოსი და ბანანი იყო.

არადა, სადაც გნებავთ შებრძანდით და ნახავთ – დახლებზე ყველგან შესახედად მშვენიერი ნაირ-ნაირი ხილეული თუ ბოსტნეული აწყვია, მაგრამ საკმარისია, ერთხელ მაინც დააგემოვნო კაცმა უცხოური პროდუქტი, რომ მეორედ მისადმი გული აღარ მიგიწევს, რადგან უმეტესობას ჩალის გემო აქვს. ამბობენ, უცხოური ხილისა და ბოსტნეულის უმეტეს ნაწილს „მშობლიურად თანდაყოლილი“ გემო იმიტომ არა აქვს, რომ მამა-პაპური მორწყვით კი არა, ჰიდროპონიკით მოჰყავთ, თან უამრავი სინთეზური სასუქითაა გაჯერებული.

ყველაფერი ეს, სამწუხაროდ, სიმართლეს შეესაბამება: ცხადია, მიწაზე, ბუნებრივ პირობებში მოყვანილ ხილსა თუ ბოსტნეულს არაფერი სჯობს, მაგრამ, საქმე ის არის, რომ სამრეწველო მასშტაბით მათ მომყვანებს გემო კი არა, ჯერ მთლიანი ოდენობა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შესახედაობა აინტერესებთ. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ამას ამერიკასა და ევროპაში ანიჭებენ. ამიტომაც, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი მწარმოებლებისთვის მთავარია ხილი თუ ბოსტნეული რაც შეიძლება სწრაფად გაიზარდოს და მაქსიმალურად ლამაზი შესახედი იყოს, თანაც რაც შეიძლება მეტი. საამისოდ კი სასუქებს არ აკლებენ, რის გამო ზოგი კარტოფილი თუ პომიდორი უფრო ქიმიურ ლაბორატორიის ნიმუშებს ჰგავს, ხოლო მის ჭამას ნამდვილად მშიერი ყოფნა სჯობს. მაგრამ, თუკი უცხოეთში კაცს ეკოლოგიურად სუფთა საკვები უნდა, მაშინ გენმოდიფიცირებულზე და ფართოდ მოხმარებისთვის განკუთვნილი სურსათის ღირებულებაზე სამჯერ და მეტად ძვირი უნდა გადაიხადოს.

ის პლასტმასის აპკი კი, რომელშიც ასე ლამაზად გახვეულია ხოლმე ჩვენს დახლებზე ზოგიერთი ხილი, მზის სხივების ულტრაიისფერ სპექტრს შიგ შეღწევის შესაძლებლობას არ აძლევს, განუმერებელ გემოს კი სწორედ ის აძლევს... დიახ, ჰიდროპონიკით გაზრდილი არც ხილი მოგკლავთ, არც ბოსტნეული, მაგრამ, რომ იტყვიან, პირის გემოს ვერ ჩაატანთ.

ამასთან, არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ზოგიერთ ტრადიციულად მოყვანილ ხილსა თუ ბოსტნეულს არაფრის გემო არა აქვს. მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ დიდად გაკვირვებული დავრჩი, როცა შევიტყვე, რომ ერთი ჩემი ნაცნობი კაცი თბილისში... ბანანების დამწიფების(?!) საამქროში მუშაობდა! საქმე ის არის, რომ ხანგრძლივი გადაზიდვისთვის განკუთვნილ ხილსა თუ ბოსტნეულს ჯერ კიდევ მოუწველს კრეფენ, რათა საჭირო კონდიციას უკვე გაყიდვის მომენტისთვის მიაღწიოს. მაგრამ, გემოსაც თავი რომ დავანებოთ, უბედურება ის არის, რომ ასეთი სურსათი მეტად შხამიან ნივთიერება სოლანინს შეიცავს. აქ კი უკვე პირის გემოზე კი არა, ლაპარაკი ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზეა...

მაშ, როგორ მოვიქცეთ, როგორ ავარიდოთ თავი გენმოდიფიცირებულ და ყველანაირად მიუღებელ ხილსა თუ ბოსტნეულს? ამის ერთმნიშვნელოვანი პასუხი, სიმართლე გითხრათ, არა მაქვს, ყოველ შემთხვევაში, რაც შეეხება ბოსტნეულსა და მწვანილს, იმის თქმა დანამდვილებით შეიძლება, **რომ მომზადებამდე ან ხმარებამდე საათი-საათნახევრით მათი გამდინარე წყალში გაჩერება, ნიტრატებისა და ნიტრიტების ოდენობას 80 პროცენტით ამცირებს.**

დამეთანხმებით, მთლად პანაცეა თუ არა, ეგეც ხომ საქმეა!

ნინო ალექსანდრია

◎ ინფორმაცია

შობა-ახალი წლის ღამეს უფასოდ ვიმგზავრებთ

დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომაზე სადღესასწაულო დღეებში მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის შესახებ განცხადება გააკეთა. როგორც დავით ნარმანიამ განმარტა, 31 დეკემბრის 23 საათიდან 1 იანვრის 4 საათამდე მეტროპოლიტენით მგზავრობა იქნება უფასო.

ასევე 31 დეკემბრის 23 საათიდან 1 იანვრის 3 საათამდე რიყე-ნარიყალას საბაგირო მგზავრებს უფასოდ მოემსახურება.

დავით ნარმანიამ განმარტება შობის დღესასწაულთან დაკავშირებითაც გააკეთა.

როგორც თბილისის მერმა განაცხადა 6 იანვრის 23 საათიდან 7 იანვრის 4 საათამდე მეტროპოლიტენით მგზავრობა იქნება უფასო.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– მიხო, რად არ გაგიწვიეს ჯარში?
– ცუდი მხედველობის გამო. აი, მაგალითად, თქვენ ხედავთ ლურსმანს კედელზე?
– სად?
– აი, იქ.
– სად, იქ?
– აი, კარის სიახლოვეს!
– ჰო, მაგას კი ვხედავ.
– მე კი ვერ ვხედავ!

* * *

– გამარჯობა, პეტკა.
– პეტკა კი არა, ნატაშა მქვია.
– ამას უკვე არა აქვს მნიშვნელობა, ჩემი ქმრის ტელეფონში ეს ნომერი პეტკაზეა მიწერილი.

პატარა მიხო მამასთან ერთად ესტუმრა მარო ძალოს.
– მიხო, აბა, გაშალე პეშვი, კამფეტს ჩაგიყრი, – ეუბნება ძალო.
– არა, ჯობია მამას ჩაუყაროთ.
– შენ რა, არ გიყვარს კამფეტები?
– მიყვარს, მაგრამ მამას უფრო დიდი პეშვი აქვს.

* * *

– ანკა, ზურგს უკან ღვინის ბოთლი მაქვს დამალული! თუ გამოიცნობ, რომელ ხელში მიჭირავს, დავლევთ, თუ ვერ გამოიცნობ, ბოთლს გავრეცხავთ.
– მარცხენაში?
– ანკა, კარგად დაფიქრდი.

* * *

ოჯახში კამფეტი ორ ტიპად იყოფა:
1. გემრიელია.
2. ეს კი მამამ ჭამოს.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე